ვერსია

№2 (1692) 21-27 თებერვალი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

სტალინის ბიუსტში ნაპოვნი განძი

რა შეტყობინება გაუგზავნა კრიმინალმა ციხიდან ცოლს

„პუტინმა მოკლა“ – უცნობი და ნაცნობი ფაქტები ნავალნიზე

რაში სდებდა ბრალს კრემლის მოწინააღმდეგე ნავალნი საქართველოს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა დარღვევები გამოვლინდა სამედიცინო პერსონალის პროფესიულ განვითარებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

დეკანოზ გიორგი მამალაძის ბურუსით მოცული დაკავებიდან ციხის მოულოდნელად დატოვებამდე

რა კავშირი ჰქონდა მამალაძეს დაკავებამდე ნავთობპროდუქტების შემოტანასთან – რა ვიცით და რა არ ვიცით „ციანიდის საქმეზე“

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ჯ.ს. და 1983 წელს დაბადებული გ.ზ. დააკავეს.

ჯ.ს.-ს ბრალად ედება ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება.ხოლო გ.ზ. ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის არის დაკავებული.

ჯ.ს.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული – 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, ხოლო გ.ზ.– ს ქმედება 3-დან 7 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 18 თებერვალს, ღამის საათებში, ჯ.ს.-ს თბილისში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში შელაპარაკება მოუხდა მეგობართან, 1998 წელს დაბადებულ მ.ლ.-სთან. მოგვიანებით, ჯ.ს.-მ მას, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე, მეგობრებთან ერთად, ავტომობილით მიაკითხა, ანგარიშსწორების მიზნით, იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და თანმხლებ პირებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ სროლის ფაქტს შეესწრო, ბრალდებულისა და მოკლულის საერთო მეგობარი გ.ზ.-ც, რომელმაც მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში, მოწმის სახით გამოკითხვის დროს, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით, სამართალდამცველებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.

სამართალდამცველებმა, ჯ.ს. და გ.ზ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები.

დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის ჯგუფურად, უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ცრუ ინფორმაციის მიცემის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ექვსი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, შიდა ქართლში ექვსი პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე დაკავებულები არიან: 1991 წელს დაბადებული ზ.კ. (მეტსახელად, „კეკო“), 1986 წელს დაბადებული ნ.მ. (მეტსახელად, „მაჩიტა“), 1989 წელს დაბადებული გ.ა. და 1998 წელს დაბადებული ნ.თ. (მეტსახელად, „ბაბუცა“).

„ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე დაკავებულები არიან: 2000 წელს დაბადებული ლ.ლ. და 2004 წელს დაბადებული გ.ი.

დანაშაული 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ერთად დასაქმებულ ბრალდებულებს – ლ.ლ.-ს და გ.ი.-ს შორის, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე კონფლიქტი წარმოიშვა, რაც მოგვიანებით ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ბრალდებულებმა, კონფლიქტის მოგვარება „ქურდული სამყაროს“ წესების მიხედვით გადაწყვიტეს და კრიმინალურ ავტორიტეტებს მიმართეს, რის შემდეგაც ბრალდებულებს შორის „ქურდული გარჩევა“ მოეწყო.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორად ზურაბ ზუბადალაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, ზურაბ ზუბადალაშვილი წარუდგინა. გიორგი ბუთხუზმა, მომსახურების სააგენტოს ახლადდანიშნულ დირექტორთან ერთად სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

ზურაბ ზუბადალაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის პოზიციაზე დანიშვნამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის თანამდებობას იკავებდა.

ზურაბ ზუბადალაშვილი უწყებაში 24 წლის განმავლობაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროკავშირის პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ მმართველი კომიტეტის პირველ შეხვედრაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებების დღის წესრიგში ისეთი გლობალური საკითხები დგას, როგორებიცაა ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტრეფიკინგი, კიბერდანაშაული, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა არა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევა, არამედ, ევროპული გამოცდილების გაზიარება.

ალექსანდრე დარახველიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის სექტორის ძირითადი ინსტიტუტების შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებაზე, ასევე, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნებისა და პრიორიტეტების განხორციელებაში საქართველოს მხარდაჭერაზე.

შეხვედრაზე მხარეებმა პროექტის პირველადი ანგარიშის მიღება დაადასტურეს. ღონისძიების დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხდა ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წლების განმავლობაში აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

პროექტის განხორციელება 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო და მიზნად ისახავს საქართველოს მხარდაჭერას მართლმსაჯულების სექტორში რეფორმების განხორციელების მიმართულებით, განსაკუთრებით ევროკავშირთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებით, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების/დღის წესრიგის შესაბამისად.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ბურუსით მოცული დაკავებიდან ციხის მოულოდნელად დატოვებამდე

ნინო დოლიძე

რა კავშირი ჰქონდა მამალაძეს დაკავებამდე ნავთობპროდუქტების შემოტანასთან – რა ვიცით და რა არ ვიცით „ციანიდის საქმეზე“

რაღაც ხდება. ყოველ შემთხვევაში, ისინი, რომლებიც საპატრიარქოს კულუარებში კარგად კი არა, ძალიან კარგად ერკვევიან, მიიჩნევენ, რომ შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ დეკანოზ გიორგი მამალაძის გათავისუფლება, შესაძლოა, ახალ საეკლესიო თამაშებს უკავშირდებოდეს. ამ ეჭვს არსებობის უფლება აქვს, რადგან ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დეკანოზის თემა როცა ძალიან აქტუალური იყო, მისი გათავისუფლება აზრადაც არავის მოსვლია. ახლა კი, როგორც იტყვიან, ცა მოწმენდილზე, „ციანიდის საქმის“ მთავარი ფიგურანტი საპატიმროდან გამოუშვეს, თან ისე გამოუშვეს, რომ ახსნა-განმარტება, ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებელი არავის გაუკეთებია. შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ, გიორგი მამალაძე თავისუფალია. ერთი სიტყვით, „ციანიდის საქმეს“ ისეთივე ფინალი ჰქონდა, როგორ უცნაურადაც დაიწყო. ისე, ჯერ დაზუსტებით არავინ იცის, დეკანოზის თავისუფლებაზე გამოსვლით ყველაფერი დასრულდა, თუ პირიქით – ახლა დაიწყება. დიდი ალბათობით, არაფერი დასრულებულა და ამას დეკანოზის ძმის, თორნიკე მამალაძის განცხადებაც მოწმობს, რომლის თანახმადაც, სასულიერო პირის ოჯახი საზოგადოებას „ციანიდის საქმეზე“ ინფორმაციებს ეტაპობრივად მიაწვდის.

„ეს არ იქნება უბრალოდ საუბრები, ეს იქნება ფაქტები, რეალურად, ვინ დგას ამ საქმის უკან“, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ მას შემდეგ, რაც მისმა ძმამ საპატიმრო დატოვა.

ერთი შეხედვით, „ციანიდის საქმეზე“ ყველაფერი ვიცით, თუმცა, როგორც ჩანს, არის რაღაც ისეთი, რაც ამ ბურუსით მოცულ ამბავს თავდაყირა დააყენებს და მანამ, სანამ ახალი „ბომბი გასკდება“, „ვერსია“ „ციანიდის საქმის“ პერიპეტიებს მოკლედ გაგახსენებთ.

* * *

2017 წლის თებერვლის პირველ დეკადაში, დეკანოზი გიორგი მამალაძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, გერმანიაში გამგზავრებამდე დააკავეს და ბრალი მკვლელობის მომზადებაში დასდეს... დეკანოზი გერმანიაში მიემგზავრებოდა, სადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი, ილია მეორე ნაღვლის ოპერაციას იკეთებდა... მამალაძეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთი ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. პარალელურად, ცნობილი გახდა, რომ პატრიარქის დაცვის მაშინდელი უფროსი, სოსო ოხანაშვილი, რომელიც გერმანიაში ახლდა ილია მეორეს, პროკურატურაში სასწრაფოდ დაიბარეს დაკითხვაზე, რამდენიმე საათში კი ისევ უკან დაბრუნდა. გერმანიაში ილია მეორეს დაცვა გააძლიერა სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, რომელიც აქამდე პატრიარქს არ იცავდა.

ცნობისთვის: გიორგი მამალაძე 1984 წლის 9 ივნისს დაბადა. ის წარმოშობით ქობულეთიდანაა. დეკანოზის ხარისხში აჭარაში, 2010 წლის 31 აგვისტოს, ილია მეორეს სტუმრობის დროს აიყვანეს. წლების განმავლობაში, იქვე ასრულებდა სასულიერო საქმიანობას.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, მამალაძე დაკავებამდე ოთხი კომპანიის – შპს „დიმოილი“, შპს „ტოროქსი“, შპს „კარო ოპტიმუსისა“ და შპს „სუერტეს“ მეწილე იყო. გარდა ამისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ორი დაწესებულების – შპს „ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლისა“ და შპს „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის“ დირექტორადაც მოღვაწეობდა. ამასთან, საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილეობასაც ითავსებდა ანუ მამალაძე საპატრიარქოში ვიღაც კი არა, ერთობ ანგარიშგასაწევი ფიგურა გახლდათ.

სხვათა შორის, შპს „დიმოილის“ წილები თანაბრად ეკუთვნოდათ გიორგი მამალაძესა და ლევან თურმანიძეს. წესდების მიხედვით, კომპანიის საქმიანობის ძირითადი საგნები იყო – ნავთობპროდუქტების შემოტანა და რეალიზაცია; ავტოგასამართი სადგურების ორგანიზება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სავაჭრო ქსელების შექმნა და ექსპლუატაცია; სასტუმროსა და რესტორნის ბიზნესი, ტურისტული ბიზნესის მომსახურება.

* * *

2017 წლის 13 თებერვალს, მთავარი პროკურატურა ავრცელებს განცხადებას, რომლიდანაც ირკვევა, რომ გამოძიება 2017 წლის 2 თებერვალს, ერთ-ერთი მოქალაქის განცხადების საფუძველზე დაიწყო. საგამოძიებო უწყებას მიმართა პირმა, რომელიც დეკანოზ გიორგი მამალაძის ნაცნობი იყო. გამოძიების ინფორმაციით, მამალაძე აღნიშნულ პირს სთხოვდა შემჭიდროვებულ ვადებში მომწამლავი ნივთიერების – ციანიდის მოძიებას.

პროკურატურის ინფორმაციითვე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, მამალაძის ჩხრეკის დროს ამოიღეს შხამიანი ნივთიერება ნატრიუმის ციანიდი, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს კი კუსტარული წესით დამზადებული უნომრო ცეცხლსასროლი იარაღი და ექვსი ცალი საბრძოლო ვაზნა. გამოძიების ინფორმაციით, მამალაძემ ცეცხლსასროლი იარაღი მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და თავის საცხოვრებელ ბინაში ინახავდა.

სხვათა შორის, მამალაძე ციხეში ისე გაუშვეს და საპატიმროდან ისე გამოვიდა, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა, როგორ აღმოჩნდა ციანიდი სასულიერო პირის ხელში.

* * *

დეკანოზი გიორგი მამალაძის დაკავების საქმეში მოწმეები – ჟურნალისტი, ირაკლი მამალაძე და ადვოკატები – ირმა ჭკადუა და ლილი გელაშვილი იყვნენ.

* * *

პროკურატურის მიერ ინფორმაციის გავრცელებიდან მალევე, დეკანოზის დაკავების შესახებ საქართველოს ხელისუფლების წევრები საჯარო განცხადებებში პატრიარქის უსაფრთხოებასა და ეკლესიის წინააღმდეგ დანაშაულს ახსენებდნენ.

მაშინდელმა პრემიერმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ **„აღკვეთილია ქვეყნის წინააღმდეგ დაგეგმილი დანაშაული და ეკლესიის წინააღმდეგ ვერაგული თავდასხმა“,** იუსტიციის იმდროინდელი მინისტრი თეა წულუკიანი კი აღნიშნავდა, რომ **„ქვეყანას ააცილეს დიდი ტრაგედია“**.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია განცხადებას პროკურატურაზე დაყრდნობით ავრცელებდა და წერდა: **„იგეგმებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სიცოცხლის ხელყოფა“.**

პროკურატურის პირველმა განცხადებამ, ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებებმა და ბერლინში პატრიარქის დაცვის გაძლიერებამ გააჩინა განცდა, რომ შესაძლო დანაშაულის მთავარი სამიზნე, სავარაუდოდ, სწორედ ილია მეორე იყო, თუმცა მაშინდელი სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის განცხადებამ, რომელიც დაკავებულ მამალაძეს შეხვდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა ანუ ნანუაშვილმა თქვა, რომ დეკანოზს სასულიერო პირის მკვლელობის მომზადებას არ ედავებოდნენ.

* * *

დეკანოზის დაკავებიდან რამდენიმე დღეში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გიორგი მამალაძის სახელით დაწერილი წერილი გაასაჯაროვა. წერილში საუბარი საპატრიარქოს ქონებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე იყო.

წერილის მიხედვით, დეკანოზს სამთვიანი გამოძიება ჰქონდა ჩატარებული და გახსნა რამდენიმე საქმე, რომლის გაჟღერების საშუალება სინოდის სხდომაზე არ მიეცა. დასახელებულ პრობლემატურ საკითხებში მოხვდა: საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ორგანიზაციების უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, სასოფლო-სამეურნეო მიწებით სხვადასხვა პირების სარგებლობა, საპატრიარქოს კლინიკაში არსებული 5 მილიონ ლარამდე დავალიანება და „სნოს“ წყლის გასხვისება. წერილში ნახსენები იყო მუქარაც, რომელიც, სავარაუდოდ, დეკანოზის მიმართ არსებობდა.

დეკანოზის ადვოკატებს პროკურატურისთვის საქმის დეტალებთან დაკავშირებით გაუთქმელობის პირობა ჰქონდათ დადებული. სწორედ ამის გამო, ისინი ჟურნალისტების კითხვებს ვერ პასუხობდნენ და პროკურატურისგან, საქმის დეტალებთან დაკავშირებით, საუბრის უფლებას ითხოვდნენ.

დასასრული მე-4 გვერდზე

დეკანოზ გიორგი მამალაძის ბურუსით მოცული დაკავებიდან ციხის მოულოდნელად დატოვებამდე

მე-3 გვერდიდან

2017 წლის 20 თებერვალს, დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეში კიდევ ერთი ადვოკატი ჩაერთო, რომელსაც პროკურატურისთვის გაუთქმელობის პირობა არ ჰქონდა მიცემული და თქვა, გიორგი მამალაძეს ილია მეორის მდივან-რეფერენტის, შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი და ბრალდებაში საერთოდ არ არის ნახსენები სასულიერო პირიო.

ყველაფერ ამის შემდეგ, მაღალი თანამდებობის პირებმა „პირველი ჩვენება“ შეცვალეს. ასე, მაგალითად, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თქვა, რომ ე.წ. ციანიდის საქმეს ბევრი სპეკულაცია მოჰყვა: **„როდესაც სასულიერო პირი მომწამლავი ნივთიერებით კვეთს საზღვარს და მოდის იქ, სადაც პატრიარქი იმყოფება და ჩვენ მას ვაკავებთ, რა თქმა უნდა, დიდი უბედურების თავიდან აცილებაზეა საუბარი“.**

თეა წულუკიანი კი ისევ ამტკიცებდა, რომ გაუგებრობა არ მომხდარა და **„ქვეყანას ააცილეს დიდი ტრაგედია“.**

* * *

ჭყონდიდის მაშინდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ გიორგი მამალაძე ორი წელია, საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს, სადაც მან „არასახარბიელო კორუფციული საქმეები“ აღმოაჩინა. მიტროპოლიტის თქმით, დეკანოზი გიორგი მამალაძე შორენა თეთრუაშვილს დისკომფორტს უქმნიდა.

მონაზონ სიდონიას თქმით კი, მამა გიორგი მამალაძე უწმინდესისგან დიდი ნდობით სარგებლობდა, რაც შესაძლოა, გარკვეული პირებისთვის არასასურველი ყოფილიყო. მისივე თქმით, ის იმ გაურკვეველმა ძალებმა ჩამოიშორეს, რომლებსაც ფესვები საპატრიარქოში ჰქონდათ გადგმული.

ქორეპისკოპოსი იაკობი, რომელიც დეკანოზ გიორგი მამალაძის სახელით გავრცელებული წერილის ბრალდების ერთ-ერთი ადრესატი იყო, თავის მიმართ გავრცელებულ ინფორმაციას ზღაპრებს უწოდებდა და აღნიშნავდა: **„სირცხვილია თემის გადაფარვა იმით, რომ თურმე, მეუფეს რაღაც მილიონებთან ჰქონია კავშირი, არასერიოზულად მიმაჩნია. თემა რა უფრო მნიშვნელოვანია, უწმინდესის უსაფრთხოება, თუ ვიღაც მეუფე, თუნდაც ქურდი მეუფე, რომელი უფრო სერიოზულია?“**

* * *

2017 წლის 16 თებერვალს, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიამ, „ფეისბუკის“ გვერდზე, ბერლინიდან ილია მეორის მიმართვა გაავრცელა, სადაც იგი დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა. ვიდეო „ფეისბუკზე“ ორ ნაწილად იყო ატვირთული.

როგორც მოგვიანებით, 18 დეკემბერს გაირკვა, მიმართვიდან პატრიარქის სიტყვები – **„რა მოხდა? რატომ მოხდა, რომ მამა გიორგი ლაპარაკობს ხან ერთს, ხან მეორეს. ვისი დავალებით ხდება ეს?“** – ამოღებული იყო და ჩანაწერი სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმამდე წყდებოდა. მიმართვა სრული სახით ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში გავიდა. რატომ არ იყო ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიერ გავრცელებულ ვიდეომიმართვაში პატრიარქის ეს სიტყვები, განმარტებები არ გაკეთებულა.

* * *

საქართველოს პატრიარქმა, გერმანიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის საკითხს ხელისუფლებასთან ერთად შეისწავლიდნენ და შემდეგ „გამოიტანდნენ დასკვნას“. ამ კომენტარის გაკეთებიდან მეორე დღეს, 21 თებერვალს, დილის 11.00 საათზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოში ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სასულიერო პირებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას დაესწრო საქართველოს მაშინდელი მთავარი პროკურორი, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრიც.

შეხვედრა გვიან ღამით დასრულდა, თუმცა იქ მყოფ არცერთ პირს შეხვედრის შესახებ არ უსაუბრია. ერთადერთი, რაც შეხვედრასთან დაკავშირებით გავრცელდა, საპატრიარქოს იმდროინდელი პრესმდივანის, მიქაელ ბოტკოველის მიერ ჟურნალისტებისთვის ნათქვამი სიტყვები იყო: **„ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ ჩვენს საგამოძიებო სტრუქტურებს, გვჯერა, რომ ისინი ობიექტურად შეისწავლიან და საზოგადოებას მიაწვდიან ინფორმაციას, რომელიც იქნება აბსოლუტურად დამაჯერებელი“.**

* * *

თეოლოგი ბექა მინდიაშვილი იმთავითვე მიიჩნევდა, რომ „ციანიდის საქმე“ იყო ბრძოლა პატრიარქის მემკვიდრეობისა და საპატრიარქო ტახტისთვის, ძალაუფლებისთვის, სიმდიდრისთვის, ასევე, ეკლესიაში და ეკლესიაზე გავლენის მოსაპოვებლად:

„ჩვენ ოთხი წლის წინ ვისაუბრეთ უკვე ამ საკითხზე. მაშინ ვთქვი, რომ ერთი მხარე აუცილებლად იქნება დიმიტრი შიოლაშვილი, რომელსაც უშუალოდ პატრიარქი უჭერს მხარს და მეორე მხარეს იქნება ის კანდიდატურა, რომელიც მოიპოვებს, ერთი მხრივ, ყველაზე მეტ ხმას – მღვდელმთავარს სინოდში და მეორე მხრივ, ექნება მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდანაც“.

სხვათა შორის, ეჭვი, რომ „ციანიდის საქმე“ სწორედ პატრიარქის სავარძლისთვის ბრძოლის გამო „შეიკერა“, დღესაც აქტუალურია. უფრო მეტიც, დეკანოზის საპატიმროდან გამოსვლაც ვიღაცებმა, სწორედ ამ ბრძოლას დაუკავშირეს. ეს ეჭვი რეალურია თუ არა, ამას დრო აჩვენებს, მანამდე კი „ვერსია“ მოგაწვდით ინფორმაციას, თუ როგორ ირჩევა საქართველოს მართლმადიდებელი პატრიარქი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქსა და მისი არჩევის წესებს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში IV თავი ეთმობა. ამ დებულების მიხედვით, ეკლესიის საჭეთმპყრობელი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი. ის თანამდებობაზე მუდმივად ირჩევა.

ქვეყანაში ახალი პატრიარქის არჩევა იწყება მოქმედი პატრიარქის გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის კათოლიკოს-პატრიარქისათვის თავისი მოვალეობების შესრულებას. ამ დროს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მართავს ეკლესიას ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე. მოსაყდრის არარსებობის შემთხვევაში, ქიროტონიით უპირატესი მღვდელმთავარი ავტომატურად ხდება მოსაყდრე.

საპატრიარქო ტახტის დაქვრივებიდან 40 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე იწვევს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებას, სადაც აირჩევენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრების წინ, მოსაყდრე იწვევს წმინდა სინოდს საპატრიარქო სამი კანდიდატის შესარჩევად.

სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატი უნდა იყოს:

ქართველი; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი; ჰქონდეს საღვთისმეტყველო განათლება და საეკლესიო მმართველობის საკმარისი გამოცდილება; ასაკით არანაკლებ 40 წლისა და არაუმეტეს 60 წლისა; ბერი. კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის კენჭისყრაში მონაწილეობენ მხოლოდ მღვდელმთავრები. პატრიარქად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრების მონაწილე მღვდელმთავართა ხმების ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა ნახევარზე მეტს, ტარდება ხელმეორე კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომლებიც პირველ კენჭისყრაში მიიღებენ ხმათა უმრავლესობას.

„პუტინმა მოკლა“ – უცნობი და ნაცნობი ფაქტები ნავალნიზე

ნინო დოლიძე



რაში სდებდა ბრალს კრემლის მოწინააღმდეგე ნავალნი საქართველოს

მთელი ცივილური საზოგადოება თანხმდება, რომ ალექსი ნავალნი, რომელიც პუტინის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსი იყო, სწორედ კრემლმა „გაუშვა მარილზე“. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ კოლონიის ცნობით, სადაც პუტინის პოლიტიკური მტერი სასჯელს იხდიდა, ოპოზიციონერის გარდაცვალების მიზეზი „უეცარი სიკვდილის სინდრომი“ გახდა. უეცრად, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ოპოზიციონერები რომ არ კვდებიან, ამას ბავშვიც კი ხვდება. ისე, კრემლის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი მარგარიტა სიმონიანი ირწმუნება, რომ ნავალნის მოკვლა ოფიციალური მოსკოვის ინტერესში არ შედიოდა, რადგან ის ყველას უკვე დავიწყებული ჰყავდა. ახლა, სიკვდილისთვის, როგორც ამბობენ, ყველა ცოდოა, მაგრამ ნავალნისაც, როგორც რუსი პოლიტიკოსების უმეტესობას, საქართველო მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. ყოველ შემთხვევაში, იგივე აგვისტოს ომის პროვოცირებაში ჩვენსკენ იშვერდა ხელს. ამის მიუხედავად, მისი „უეცარი სიკვდილი“ მაინც დამაფიქრებელია, რადგან ანალიტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ამით, იგივე რუსეთში „რაღაც ახალი ბნელი თამაში“ დაიწყო. და მაინც, ვინ იყო ალექსეი ნავალნი და რატომ უშლიდა პუტინს ნერვებს?
– „ვერსია“, ონლაინ მედიაზე დაყრდნობით, გარდაცვლილი რუსი პოლიტიკოსის X-ფაილს გთავაზობთ.

ადრეული კარიერა

ალექსეი ნავალნიმ, რომელიც ისტორიაში ნაციონალისტის სახელით დარჩება, პოლიტკარიერა წლების წინ დაიწყო. ის პროფესიით ეკონომისტ-იურისტი გახლდათ და სახელი ანტიკორუფციული ფონდის დაარსებით გაითქვა. როგორც თავად ამბობდა, მისი მთავარი მიზანი ვლადიმირ პუტინის შეცვლა და რუსეთში კორუფციის დამარცხება იყო. მართალია, მოსახლეობას მის მიმართ სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ნავალნის რეიტინგი მაინც მუდმივად იზრდებოდა. ამის მიზეზი კი, ალბათ, ის გახლდათ, რომ მისი განცხადებები ხალხზე იყო მორგებული. ასე, მაგალითად, მეზობელ ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოზეც პოპულისტურ ანუ ისეთ განცხადებებს აკეთებდა, რომლებიც ნებბისმიერ, საშუალო სტატისტიკურ ნაციონალისტ რუსს მოეწონებოდა.

***

ალექსეი ნავალნი მოსკოვთან ახლოს, ბუტინში დაიბადა... რუსეთის ფედერაციაში დაამთავრა ორი უნივერსიტეტი. შემდეგ კი განათლება აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, იეილის უნივერსიტეტში მიიღო.

ნავალნის მშობლები რუსეთში ბიზნესს ფლობდნენ – წლების წინ, ქსოვილების ფაბრიკა დააარსეს, რაც მოგვიანებით, წარმატებულ ბიზნესად იქცა.

არცთუ დიდი ხნის წინ, ალექსეის ძმა, ოლეგ ნავალნი რუსეთის სასამართლომ ფინანსურ თაღლითობაში დამნაშავედ სცნო და პატიმრობა მიუსაჯა. ამავე საქმეზე გაასამართლეს ალექსეი ნავალნიც, თუმცა მას პატიმრობა არ შეუფარდეს და პირობითი სასჯელი აკმარეს.

ამ საქმის მასალების მიხედვით, ალექსეი ნავალნიმ კერძო გადამზიდავი კომპანია დააფუძნა და ძმასთან ერთად, რომელიც იმხანად რუსულ ფოსტაში მუშაობდა, „ივ როშესა“ და კიდევ ერთ კომპანიას გზავნილებზე მაღალი ფასები დაუწესა, რითაც კომპანიას 800 ათასი დოლარის ზარალი მიაყენა. სხვათა შორის, თავად ნავალნი გამოძიებას არ ენდობოდა და ამბობდა, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე პოლიტიკურად იყო მოტივირებული.

რაც შეეხება პოლიტიკურ კარიერას, ყველაფერი, დაახლოებით, 20-22 წლის წლის წინ დაიწყო, როცა ნავალნი პარტია „იაბლოკოში“ გაწევრიანდა, თუმცა ხისტი პოზიციებისა და ნაციონალისტური შეხედულებები გამო, პარტია მალევე დატოვა. მოგვიანებით, ე.წ. რუსული მარშის ორგანიზებასა და საქმიანობაში ჩერთო და ასევე, სათავეში განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა.

ცნობისთვის: „რუსული მარში“ ყოველი წლის ნოემბერში, რუსეთის რამდენიმე ქალაქში ეროვნული ერთობის დღეს მართავდა. ათასობით ადამიანს ერთი ლოზუნგი აერთიანებდა – „ეს (რუსეთი) ჩვენი ქვეყანაა“. ყველაზე მასშტაბური მარში რუსეთში 2006 წელს გაიმართა – ათასობით ადამიანი უკანონო იმიგრაციას აპროტესტებდა. მარში მოსკოვის მაშინდელმა მერმა მალევე აკრძალა. ერთ-ერთი, ვინც, ლუჟკოვს ეწინააღმდეგებოდა, ალექსეი ნავალნი იყო, რომელიც აქციებზე ნებართვის გაცემას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე ითხოვდა.

ნავალნი ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში 2011 წელს მოექცა და მას შემდეგ, მისი რეიტინგი იზრდებოდა. ამის მიზეზად კი კორუფციასთან ბრძოლა სახელდებოდა. პარალელურად, ნავალნი დასავლეთშიც გაიცნეს...

კორუფციასთან ბრძოლის გარდა, ნავალნი ქალებისა და სექსუალური უმცირესობების უფლებებზეც მუშაობდა. ამის გამო, ის განსაკუთრებით პოპულარული ახალგაზრდებში იყო.

კორუფციასთან ბრძოლის ფონდი

როგორც აღვნიშნეთ, ნავალნის ცნობადობა რუსეთში კორუფციასთან ბრძოლას უკავშირდებოდა – თავის დროზე, მან „კორუფციასთან ბრძოლის ფონდიც“ ჩამოაყალიბა.

„ყველა ამბობს, რომ კორუფციაა ყველგან, მაგრამ ჩემთვის უცნაურია: თუ ეს ვიცით და არ მოგვწონს, რატომ არ ვაგდებთ ამ ხელისუფლებასა და დამნაშავეებს“, – აღნიშნავდა ნავალნი, რომლის მთავარი სამიზნეც რუსეთის სახელმწიფო კომპანიები იყო. მან მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და საზოგადოებას გაუზიარა მამხილებელი ინფორმაცია ისეთი მსხვილი კომპანიის შესახებ, როგორიცაა „როსნეფტი“.

სხვათა შორის, ნავალნიმ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტური ფილმი გადაიღო, რომლითაც შეეცადა, ხალხისთვის ეჩვენებინა, თუ როგორ იყენებდნენ სახელმწიფო თანამდებოებებს მაღალჩინოსნები და როგორ იპარავდნენ ფულს საზოგადოების ხარჯზე.

ამ მხრივ, განსაუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი მედვედევზე გადაღებული ფილმი, სადაც ნავალნიმ მედვედევის ქმედებები აღწერა და სხვადასხვა დანაშაულში ამხილა. ამ დროს რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი იყო და ფილმი „ჩაიკა“ მხოლოდ მედვედევის კი არა, არამედ, მასთან დაახლოებული პირებისა და რუსეთის მთავარი პროკურორის, იური ჩაიკას საქმიანობასაც უკავშირდებოდა.

ნავალნის „კორუფციული ფონდის“ საქმიანობა კრემლისთვის მიუღებელი იყო. ამიტომ პოლიტიკოსი არაერთხელ დააკავეს, კრემლის პროპაგანდისტული მანქანა კი ნავალნის წარდგენილ ფაქტებს მოგონილსა და ტყუილს უწოდებდა. ამასთან, კრემლმა ნავალნის მიერ დაფუძნებული „ანტიკორუფციული ფონდი“ „უცხოელ აგენტად“ შერაცხა და ფონდში არაერთი შემოწმება ჩაატარა.

არჩევნები

სკანდალური გამოძიებების ფონზე, ნავალნის რეიტინგი, როგორც რუსეთში, ასევე, საზღვარგარეთ ეტაპობრივად გაიზარდა, თუმცა მიუხედავად ამისა, მოსკოვის მერობისთვის ბრძოლა წააგო. ნავალნიმ მაშინ თქვა, რომ არჩევნები გაყალბდა და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით, რუსეთში მასშტაბური საპროტესტო აქციები გამართა, თუმცა კრემლმა წინააღმდეგობა ვერ აიტანა, აქცია არასანქცირებულად გამოაცხადა და ასობით ადამიანი დააკავა.

მოგვიანებით, ნავალნი იტყვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა კენჭისყრას, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას იმ მიზეზით აუკრძალავენ, რომ „კრიმინალური წარსული“ ჰქონდა. ამის მიუხედავად, ნავალნი, თავის ასი ათასობით მხარდამჭერთან ერთად, დანებებას არ აპირებდა და ხაზგასმით აცხადებდა, რომ აქციები, რომლებსაც სათავეში ედგა, არაძალადობრივი იყო.

სიცოცხლის რისკი

საერთოდ, რუსეთში პუტინის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა უმეტესად სიკვდილით მთავრდება. ასე, მაგალითად, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალნენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა სახეები.

მოსკოვში მოკლეს ბორის ნემცოვი, ანა პოლიტიკოვსკაია, მოწამლეს იური ჩეკოჩიხინი, დიდ ბრიტანეთში მოწამლეს და შედეგად, მოკლეს ალექსანდრე ლიტვინენკო. საწამლავით სიკვდილს შემთხვევით გადაურჩნენ სერგეი და იულია სკრიპალები, დიდ ბრიტანეთში.

თავის დროზე, სიკვდილს ორჯერ გადაურჩა თავად ალექსეი ნავალნიც. ერთხელ, როგორც თავად ამბობდა,

დასასრული მე-6 გვერდზე

„პუტინმა მოკლა“ – უცნობი და ნაცნობი ფაქტები ნავალნიზე

მე-5 გვერდიდან



ციხეში მოწამლეს, თუმცა მალევე გამოჯანმრთელდა. მაშინ რუსმა ექიმებმა მწვავე ალერგიული რეაქციის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ რამ გამოიწვია ეს რეაქცია, დღემდე უცნობია.

მეორედ რომ მოწამლეს, კომაში ჩავარდა და გერმანიაში გადააფრინეს სამკურნალოდ. გერმანელმა ექიმებმა მაშინ დაადასტურეს, რომ ნავალნი ნამდვილად მოწამლული იყო. გერმანიის კანცლერმა და სხვა დასავლელმა ლიდერებმა კი რუსეთს დროული ქმედებისკენ, გამოძიების დაწყებისა და დამნაშავეების გასამართლებისკენ მოუწოდეს. კრემლმა უარყო, რომ ნავალნი მოწამლეს. მეტიც, ოფიციალურმა მოსკოვმა თქვა, რომ ნავალნის კომაში ჩავარდნა ნივთიერებათა ცვლის დარღვევამ განაპირობა. საბოლოოდ, ნავალნი სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩა....

საგარეო პოლიტიკა

ალექსეი ნავალნის მიზანი იყო დასავლეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რუსეთში რეფორმების გატარება და ევროპა-აშშ-სთან ახლო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. ის, პრაქტიკულად, ერთადერთი გავლენიანი პოლიტიკოსი იყო, რომელიც ღიად ეწინააღმდეგებოდა პუტინისა და კრემლის პოლიტიკას უკრაინაში, კერძოდ, პროპაგანდას ყირიმის ანექსიაზე, რომელსაც კრემლი ავრცელებდა.

დასავლეთთან ნავალნის თანასწორი და ახლო ურთიერთობა სურდა, თუმცა დასავლურ ღირებულებებსა და მის რამდენიმე განცხადებას შორის, ფუნდამენტური სხვაობა იყო ანუ ის ამბობდა, რომ „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არიან რეგიონები, რომლებმაც დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გამოაცხადეს“.

ამასთან, ნავალნი ფიქრობდა, რომ რუსეთს უნდა ეღიარებინა დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მან ეს ასე გაამართლა – **„რუსეთმა უნდა აღიაროს ჩვენი ისტორიული მოკავშირეების დამოუკიდებლობა“.**

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ალექსეი ნავალნი ქართველებს ომის პროვოცირებაში ადანაშაულებდა და ფიქრობდა, რომ რუსეთს საქართველოზე ფრთოსანი რაკეტა უნდა დაეშინა. 2013 წელს, ალექსეი ნავალნიმ, კრიტიკის საპასუხოდ, „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს თქვა:

„ვწუხვარ ჩემი არასწორი განცხადებების გამო, როდესაც ქართველები მოვიხსენიე „გრიზუნებად“ (მღრღნელი), მე არასწორად მოვიქეცი და ეს იყო შეცდომა. პოლიტიკოსი ვარ და შეცდომის აღიარება შემიძლია, მაგრამ ჩემი პოლიტიკური შეხედულებები არ შეცვლილა. 2008 წლის ომი საქართველოსა და რუსეთს შორის, საქართველოს მთავრობის ქმედებებს მოჰყვა. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დე ფაქტო რეგიონები იყო, წლებია. ისინი არ იმართებოდნენ წლების განმავლობაში თბილისის მიერ, მათი მთავარი დამფინანსებელი/ სპონსორი კი, წლებია, რუსეთია. მე თუ პრეზიდენტი გავხდები, რაღაც პერიოდის განმავლობაში, რუსული ბაზები შენარჩუნდება ამ ტერიტორიებზე, მაგრამ დარჩება თუ არა სულ, ამაზე ახლა მზად არ ვარ პასუხისთვის. მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს სამსჯელო და კომპლექსური საკითხებია. მაგრამ რუსეთმა ხვალ რომ შეწყვიტოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაფინანსება, რა მოხდება, რა შეიცვლება? საქართველოს დაუბრუნდებიან?“

სხვათა შორს, თავიდან, როცა პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო და მარშებს უკეთებდა ორგანიზებას, ნავალნი წერდა: **„დაგვღალეს უკვე ჩეჩნებმა. ხან რას ითხოვენ და ხან – რას. ხან მეტი ფული უნდათ, ხან ფილმები არ მოწონთ, ასე არ გამოვა... ეს კი იმ ფონზე, როცა თათრები არაფერს ამბობენ, არადა, მათ რეალურად აქვთ მოთხოვნების უფლება, თუმცა ნორმალურად იქცევიან“.**

სიკვდილი

ნავალნი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან ბოლო სამი წელი პატიმრობაში გაატარა. თითქმის ერთი წელი კი – სასტიკ პირობებში, საჯარიმო იზოლატორებში.

„სეირნობის შემდეგ, თავი ცუდად იგრძნო და გონება თითქმის მყისიერად დაკარგა“, – განაცხადა 16 თებერვალს, რუსეთის სასჯელაღსრულების ფედერალურმა სამსახურმა.

გამოცემა „ბაზას“ ინფორმაციით, ნავალნი გონების დაკარგვიდან, დაახლოებით, საათსა და ოც წუთში გარდაიცვალა. საპატიმროში გამოძახებულმა სასწრაფომ მისი გადარჩენა ვერ მოახერხა.

მალევე, რუსეთის სახელმწიფო ტელევიზია „არტემ“ დაწერა, რომ ის თრომბის მოწყვეტის გამო მოკვდა. იგივე გაიმეორა პროკრემლისტურმა გამოცემა „იზვესტიამაც“.

ეს დასკვნა ძალიან ნაჩქარევი და საეჭვოა, – უთხრა გამოცემა „მედუზას“ ექიმმა ალექსანდრ პოლუპანმა, რომელიც ბოლო წლებში ნავალნის ჯანმრთელობას აკვირდებოდა.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თრომბის მოწყვეტა სამედიცინო გაკვეთის გარეშე არ ჩანს; მერე მეორე – ალექსეი ნავალნის ნამდვილად ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ არ აწუხებდა ის, რაც თრომბოზის რისკს ზრდის ხოლმე, მაგალითად, ქვედა კიდურების ტრავმები და ონკოლოგიური დაავადებები.

„მათ შეუძლიათ გააკეთონ ნებისმიერი რამ, მაგალითად, გააყალბონ გაკვეთის პროტოკოლი. ვერავინ ვერაფერს ვერ შეამოწმებს“, – თქვა პოლუპანმა.

მსოფლიოს ლამის ყველა ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული ალექსეი ნავალნის ჯანმრთელობა, ბოლო წლებში, მართლაც საგრძნობლად გაუარესდა, მაგრამ 15 თებერვალს, სასამართლო სხდომიდან გამოქვეყნებულ კადრებში, ალექსეი ნავალნი შედარებით ჯანმრთელად გამოიყურებოდა. იგივეს ადასტურებს მისი გარემოცვაც.

2020 წლის აგვისტოში, ნავალნი მომწამვლელი ნივთიერებით, „ნოვიჩოკით“ მოწამლეს. იმავე ნივთიერებით, 2018 წელს მოწამლეს რუსეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი, სერგეი სკრიპალი.

ნავალნი ორი კვირით კომაში ჩავარდა. შემდეგ ის რამდენიმე კვირა ფეხზე ვერ იდგა და 15 კილოგრამი დაკარგა.

სამი გამოცემის – „ბელინგკეტის“, „შპიგელისა“ და „სი ენ ენ“-ის ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, მას რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები უთვალთვალებდნენ. ერთ-ერთმა შემდეგ აღიარა კიდეც, რომ „ნოვიჩოკი“ ნავალნის საცვალს მოაცილა.

პოლიტიკოსმა გერმანიაში რამდენიმე თვე იმკურნალა. 2021 წლის იანვარში, მან თქვა, რომ „თითქმის ჯანმრთელია“ და რუსეთში დაბრუნდა. 17 იანვარს, ის მოსკოვის აეროპორტში დააპატიმრეს.

წამება ციხეში

2021 წლის მარტში, ნავალნი მოსკოვის სიახლოვეს, ვლადიმირის რეგიონის გამოსასწორებელ კოლონიაში გადაიყვანეს... იქ არ აძინებდნენ.

ციხის ადმინისტრაცია აცხადებდა, შეიძლება, ნავალნიმ გაქცევა სცადოსო. ამიტომ ბადრაგი ღამ-ღამობით მის საკანში ყოველ ერთ საათში ერთხელ შედიოდა და სახეში ფანარს უნათებდა. მარტშივე ნავალნიმ შიმშილობა დაიწყო იმის გამო, რომ მასთან ექიმს არ უშვებდნენ.

ნავალნის მაშინ სტკიოდა ზურგი და უბუჟდებოდა ფეხი, უჭირდა სიარული. მისი ადვოკატი კი ამბობდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ ჩივილების საპასუხოდ, მხოლოდ ორი აბი „იბუპროფენი“ მიუტანა.

ნავალნიმ რამდენიმე კვირა იშიმშილა. ექიმები ამბობდნენ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება გარდაცვლილიყო. აპრილში რუსეთში დიდი საპროტესტო აქციები გაიმართა და ბოლოს მასთან ექიმი შეუშვეს.

2023 წლის აგვისტოში, ალექსეი ნავალნის 19 წლით პატიმრობა მიესაჯა. ის დამნაშავედ სცნეს ექსტრემისტული ჯგუფის დაარსებაში, ექსტრემიზმისკენ მოწოდებასა და მის დაფინანსებაში. მან ბრალეულობა უარყო.

2023 წლის დეკემბერში, ნავალნი გადაიყვანეს რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, ციმბირში, იამალის ნახევარკუნძულზე. ის მოათავსეს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში, რომელსაც რუსულად „პოლარულ მგელს“ ეძახიან.

ორივე ციხეში ნავალნის გამუდმებით აგზავნიდნენ ე.წ. საჯარიმო იზოლატორში, ერთკაციან საკანში, სადაც პირობები განსაკუთრებულად მკაცრია.

იქ არ არის გათბობა და არ შეიძლება პირადი ნივთების შეტანა. დღისით კი არ შეიძლება დაწოლა. ნავალნის ხშირად აწუხებდა გრიპი. თუმცა, საჯარიმო იზოლატორში სიცხიანსაც აგზავნიდნენ.

სულ, საჯარიმო იზოლატორში ნავალნი 27-ჯერ გაუშვეს. უკანასკნელად, ახლახან, 14 თებერვალს. მთლიანობაში, საჯარიმო იზოლატორებში ნავალნიმ 308 დღე გაატარა ანუ თავისი პატიმრობის მეოთხედზე მეტი, – დაითვალა „დოიჩე ველეს“ რუსულმა სამსახურმა.

„პუტინმა მოკლა“

შესაძლოა, ნავალნი, სწორედ საჯარიმო იზოლატორებმა შეიწირა, – თქვა ევა მერკაჩოვამ, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრია.

საჯარიმო იზოლატორში „ადამიანი შიმშილობს და იყინება, ამიტომ მისი დაყოვნება გარკვეულ პერიოდზე დიდხანს არ შეიძლება. სამწუხაროდ, არ არის განსაზღვრული, თუ რამდენჯერ შეიძლება მასში ადამიანის მოთავსება“, – თქვა მან.

მერკაჩოვის კომენტარი მალევე წაიშალა.

მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო 16 თებერვალს, ციმბირის კოლონიაში, კრემლის მოწინააღმდეგეებისთვის ცალსახაა, რომ ნავალნი ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებამ მოკლა.

„ეს პოლიტიკური მკვლელობაა“, – დაწერა ჟურნალისტმა ალექსეი პარფიონოვმა.

„ფორმალური მიზეზისდა მიუხედავად, მისი სიკვდილისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება პირადად ვლადიმირ პუტინს, რომელმაც ჯერ დაასანქცირა ალექსეის მოწამვლა, შემდეგ კი ის ციხეში ჩასვა“, – დაწერა რუსეთიდან დევნილმა ბიზნესმენმა, მიხაილ ხოდორკოვსკიმ.

რა დარღვევები გამოვლინდა სამედიცინო პერსონალის პროფესიულ განვითარებაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

აუდიტის სახელმწიფო სამსახური სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარებით დაინტერესდა. აუდიტის ახალი ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტია და მოიცავს 2018-2021 წლებს. ვიდრე აუდიტის ანგარიშს განვიხილავთ, შეგახსენებთ, რომ 2016 წელს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დოკუმენტი – „სამედიცინო პერსონალის გლობალური სტრატეგია 2030“. სტრატეგიის მიხედვით, სამედიცინო სფეროში არსებული გამოწვევების ეფექტიანად გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია სათანადო უნარების მქონე სამუშაო ძალის შექმნა, რომელიც უპასუხებს მოსახლეობის საჭიროებებს.

2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამის მიხედვით, ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული 2022-2030 წლების ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება – ჯანდაცვის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობისა და ფინანსური ტვირთის თანაბარი გადანაწილების გზით.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის შესახებ

ახლა, ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ნაწილში. მთავრობის მიერ შემუშავებული ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მესამე მიზანი ითვალისწინებს ჯანდაცვის სექტორში ადამიანური რესურსების განვითარებას, რომელიც გულისხმობს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

ადამიანური რესურსების საჭიროებებზე დაფუძნებული დაგეგმვის გაუმჯობესება;

ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის გაძლიერების ხელშეწყობა;

ჯანდაცვის სისტემაში ექთნების კომპეტენციების, აღიარებისა და როლის გაზრდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სამედიცინო პერსონალის სათანადო კვალიფიკაციისა და საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმებისა და გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა. აუდიტის ფარგლებში შეისწავლეს შემდეგი საკითხები: სამედიცინო პერსონალის საჭიროების განსაზღვრა და რეგიონალური მოცვა; დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება და სერტიფიცირება; უწყვეტი სამედიცინო განათლება; სამედიცინო პერსონალის შესახებ ინფორმაციის წარმოება; დაინტერესებული მხარეების კოორდინაცია.

ხარვეზები სამედიცინო პერსონალის საჭიროების განსაზღვრაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ არსებული მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო სპეციალისტების საკმარის რაოდენობასა და გეოგრაფიულ მოცვას.

„2021 წლის მდგომარეობით, პროფესიულად აქტიური ექიმების უმეტესობა – 58% კონცენტრირებული იყო თბილისში. ექთნების უმეტესობა დასაქმებულია დედაქალაქში; 100 000 მოსახლეზე თბილისში ფიქსირდება 828 ექთანი. ეს რიცხვი მოსახლეობის იმავე რაოდენობისათვის თითქმის სამჯერ ნაკლებია გურიაში, დაახლოებით, ორჯერ ნაკლებია ქვემო ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში, ასევე, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მიუხედავად სტრატეგიით განსაზღვრული საბაკალავრო განათლების პრიორიტეტულობისა, ყოველწლიურად მცირდება იმ ექთნების რაოდენობა, რომელთაც 2018-2021 წლებში დაასრულეს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში – 61 კურსდამთავრებული მაშინ, როცა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საექთნო პროგრამების მიმართულების როგორც ჩარიცხულთა, ისე კურსდამთავრებულთა რაოდენობა სტაბილურად მაღალია.

„2021 წლის მდგომარეობით, სისტემაში არსებული აქტიური ექთნების 15.2% საპენსიო ასაკისაა, ხოლო ამავე პერიოდში, ახალი კურსდამთავრებულების მაჩვენებელი 2.6%-ია. ამასთან, 2019 წლის საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიით დაგეგმილი საკადრო პოლიტიკის აქტივობები, რომლებიც 2021-2022 წლებისთვის უნდა შესრულებულიყო, არ განხორციელებულა.

სახელმწიფოს მიერ, მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში ადამიანური რესურსების მომზადების მიზნით დაფინანსებული სპეციალობის მაძიებლების რვა შემთხვევაში – 35%, ხელშეკრულების პირობები შეუსრულებელია. ამასთან, სამინისტროს მათთვის დამატებითი სანქციები არ დაუკისრებია“.

აუდიტის შედეგად ისიც გამოვლინდა, რომ დიპლომისშემდგომი სამედიცინო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საექიმო სპეციალობის პრიორიტეტულად განსაზღვრის მექანიზმი ნათლად შემუშავებული არ არის.

ხარვეზები დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სამინისტროსა და რეგულირების სააგენტოს მიერ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოპოვების მექანიზმები შეიცავს რიგ ნაკლოვანებებს.

„საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო ტესტების დამტკიცებისა და შესყიდვის პროცესში, არ ხორციელდება ხარისხობრივი ნაწილის შესწავლა და მონიტორინგის პროცესი მოიცავს მხოლოდ ტექნიკური მხარის შემოწმებას. საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო ტესტების განახლებას არ აქვს სისტემური ხასიათი. ტესტების უმეტესობა 2001 წლიდან განახლებულია მხოლოდ ოთხჯერ, ხოლო გარკვეული სპეციალობების ფარგლებში არ შესულა ცვლილებები. საგამოცდო ტესტების სრული რაოდენობის 75-80% გამოცდის თარიღამდეა ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისათვის, გამოცდის მონაწილემ კი უნდა დააგროვოს სწორი პასუხების მინიმუმ 75.5% იმისთვის, რომ გამოცდა ჩაითვალოს ჩაბარებულად. ამასთან, სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება მხოლოდ ტესტებით, სადაც მითითებულია ოთხი სავარაუდო პასუხი და არ ხდება გამოსაცდელის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ გამოკითხული სპეციალობის მაძიებლების 46%-ის აზრით, დიპლომისშემდგომი სწავლების მეთოდები არარელევანტურია მომავალი საექიმო საქმიანობისათვის სათანადო ცოდნის მისაღებად, ხოლო 44%-ის აზრით, მიღებული ცოდნა არასაკმარისია პაციენტებთან დამოუკიდებელი მომსახურების გასაწევად!

„2014-2019 წლებში დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამების განმახორციელებელმა სასწავლო დაწესებულებებმა, ჯამში, 343 აკრედიტებული პროგრამიდან, 17%-ის შემთხვევაში ნაწილობრივ, ხოლო 65%-ის შემთხვევაში, არ წარმოადგინეს ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშები. რეგულირების სააგენტოს აღნიშნული სასწავლებლები არ შეუმოწმებია!“

სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლება

აუდიტის შედეგად ვიგებთ, რომ 2018 წლიდან, სამინისტრომ დაიწყო უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის დანერგვა საქართველოში, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების უზრუნველსაყოფად. ამის მიუხედავად, არსებული სისტემა შეიცავს ნაკლოვანებებს.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა სამედიცინო პერსონალის პროფესიულ განვითარებაში

მე-7 გვერდიდან

„უწყვეტი სამედიცინო განათლება (უსგ) არ არის სავალდებულო ყველა მიმართულების პერსონალისთვის და განსაზღვრულია მხოლოდ ზოგიერთი სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებისათვის. ქვეყნის მასშტაბით, დაბალია პროფესიულად აქტიური ექიმების ჩართულობა უსგ-ის პროგრამებზე, როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ნაწილში. 2021 წლის მდგომარეობით, 2018-2021 წლებში, 17 632 ექიმიდან უსგ-ში მონაწილეობა მიიღო 43%-მა.

პერინატალური და ანტენატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში დასაქმებული ექიმების უსგ-ის ქულების შეფასება არ ხდება ყოველწლიურად. შესაბამისად, დაბალია უსგ-ის პროგრამაში მათი ჩართულობა, კერძოდ, 2018-2021 წლებში, დაწესებულებებში მომუშავე მეან-გინეკოლოგებიდან ყოველწლიურად, საშუალოდ, 37% არ იყო ჩართული უსგ-ის პროგრამაში, ხოლო ნეონატოლოგებიდან – საშუალოდ, 23%. **2020-2021 წლებში, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგებისა და რადიოლოგების საშუალოდ 69%-ს არ ჰქონდა მოპოვებული უსგ-ის წლიური კრედიტქულა“.**

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დაბალია 2021 წელს სტაციონარულ დაწესებულებებში დასაქმებული ექიმების უსგ-ის პროგრამებში ჩართულობა და ყოველწლიურად განსაზღვრული კრედიტქულების დაგროვების მაჩვენებელი. აღნიშნულ სპეციალისტთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 1 601-ს, მათგან, უსგ-ის წლიური კრედიტქულა კი დააგროვა მხოლოდ 415-მა ანუ 26%-მა. 2020-2021 წლებში, სტაციონარულ დაწესებულებებში მომუშავე გადაუდებელი მედიცინის 436 ექთნიდან, არც ერთი მათგანი არ იყო ჩართული უსგ-ის პროგრამებში. ამასთან, რეგულირების სააგენტოს მიერ 2020-2021 წლებში 269 დაწესებულებიდან შესწავლილია მხოლოდ 20 დაწესებულება. შედეგად, დანერგილი მექანიზმები არ არის საკმარისი სტაციონარულ დაწესებულებებში მომუშავე ექიმების მიერ მოპოვებული უსგ-ის კრედიტქულების შესაფასებლად.

„უსგ-ის პროგრამების ჩატარების ადგილი ექიმებისათვის არ იყო თანაბრად ხელმისაწვდომი გეოგრაფიული თვალსაზრისით. უსგ-ის პროგრამების დამსწრე 4 606 პირთაგან, 1 590-ის (35%) ფაქტობრივი სამუშაო ადგილი არ იყო თბილისი. 2018-2021 წლებში, უსგ-ის პროგრამებში მსმენელის სტატუსის მქონე 11 192 ექიმიდან 512-მა სპეციალისტმა ერთი და იგივე სავალდებულო უსგ-ის პროგრამა. ერთი წლის განმავლობაში, ორჯერ გაიარა და აღიარებულ იქნა შესაბამისი კრედიტქულა.

2018-2021 წლების მიხედვით, ჯამში განხორციელებული 757 უსგ-ის პროგრამიდან, 2020-2021 წლებში მონიტორინგი ჩატარდა 108 (15%) პროგრამაზე, ხოლო სავალდებულო 628 უსგ-ის პროგრამიდან – 90 (14%)-ზე“.

ხარვეზები ინფორმაციის წარმოებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების კოორდინაცია სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებით, არათანმიმდევრულია. მეტიც, აუდიტის ფარგლებში გამოიკვეთა სამედიცინო პერსონალის შესახებ ინფორმაციის სისრულესა და სანდოობასთან დაკავშირებული რიგი ხარვეზები.

ამ ხარვეზების გამო, სამინისტროს სისტემაში შექმნილი ახალი საინფორმაციო სისტემა სრულად და ზუსტად არ ასახავს პროფესიულად აქტიური ექიმის შესახებ ინფორმაციას.

უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) პროგრამაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის შესახებ მონაცემები არასრულადაა ასახული, ხოლო, რიგ შემთხვევებში, შეიცავს უზუსტობებს:

სამინისტროს სისტემაში არ არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზა იმ ექიმების შესახებ, რომლებმაც გაიარეს ან/და სჭირდებათ პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის გავლა;

რეგულირების სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას დიპლომისშემდგომი სამედიცინო პროგრამების ფარგლებში ათვისებული კვოტების შესახებ. კვოტების მინიჭება ხდება სამი წლის ვადით და არ მიმდინარეობს მიღებული სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობის შესახებ მონაცემების შეგროვება;

განათლების სამინისტროს დაბალი ჩართულობა სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიების შექმნის პროცესში.

რეკომენდაციები

ხარვეზების გამოვლენასთან ერთად, სახელმწიფო აუდიტორებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც სამინისტრომ და მასში შემავალმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ.

„დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ქვეყანაში არსებული ექიმ-სპეციალისტების დეფიციტის თანმიმდევრულად და ეფექტიანად აღმოფხვრის მიზნით, უნდა შემუშავდეს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის კრიტერიუმი; დეფიციტური სპეციალობების განსაზღვრისა და აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები; პროგრამის შესრულების შეფასების გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორები; პროგრამის შესრულების კონტროლისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმები“.

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ“, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამების განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების/სასწავლებლების აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის ეფექტიანი ზედამხედველობის მიზნით, უნდა შექმნას მონიტორინგის მექანიზმი – სამედიცინო დაწესებულებების/სასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმები და მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია.

ქვეყანაში სათანადო კომპეტენციის ექიმი-სპეციალისტების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროში უნდა შემუშავდეს კარგ პრაქტიკაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სერტიფიკატის მოპოვების მექანიზმი, რომელიც შეაფასებს გამოსაცდელის ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; გარდა ამისა, აუცილებლად უნდა შეიქმნას სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტების შექმნის, განახლებისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმი.

„უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ეფექტიანი ფორმირებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლების მიზნით, უნდა დაინერგოს სავალდებულო უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) მექანიზმები თითოეული სპეციალობის მიხედვით, პროფესიულად აქტიური სამედიცინო პერსონალის გათვალისწინებით; უნდა შემუშავდეს სამედიცინო პერსონალის მიერ სავალდებულო უსგ-ის პროგრამის კრედიტქულების დაგროვების ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმები; უნდა შემუშავდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების აკრედიტებული პროგრამების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი“.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, სამინისტროში უნდა შემუშავდეს სანდო და სრული ინფორმაციის შეგროვების შემდეგი მექანიზმები: არსებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის შესახებ მონაცემების წარმოება და გონივრულ ვადაში განახლება; განათლების ყველა საფეხურის მიხედვით, პოტენციური სამედიცინო პერსონალის რაოდენობისა და კომპეტენციის შესახებ მონაცემების მოპოვება; განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის მის სისტემაში არსებული პოტენციური სამედიცინო პერსონალის რაოდენობისა და კომპეტენციის შესახებ არსებული ინფორმაციის დროული მიწოდება.

„ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სათანადო კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების საკითხებთან დაკავშირებით ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც მოიცავს მისაღწევი შედეგების მიხედვით ანგარიშვალდებულების განსაზღვრას; მოცემული მიმართულებით თავსებადი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას; შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის განსაზღვრას“.

სამართალი

№2 21-27 თებერვალი 2024 წ

სამშობიაროში გამხელილი საიდუმლო, რომელიც მკვლელობის საბაბი გახდა

როგორ გავიდნენ ძალოვნები დამნაშავეზე

ბათო ჯაფარიძე

„საიდუმლო შენი პატიმარია, თუ გაეცი, შენ ხდები მისი პატიმარი“, – სიბრძნე, რომელიც წესითა და რიგით, ყველას გათავისებული უნდა ჰქონდეს. ამბობენ, დუმილი ოქროაო, ეს, მართლაც, ასეა და ბევრმა, ძალიან ბევრმა რომ იცოდეს, როდის უნდა გაჩუმდეს, შესაძლოა, სამყარო უკეთესიც იყოს. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, თავისი გმირიც ჰყავს და ანტიგმირიც და საბოლოო ჯამში, მოსამართლემ გადაწყვეტილება, ალბათ, უფრო გულის კარნახით მიიღო, ვიდრე – კანონის ძალითა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის გათვალისწინებით. არადა, ყველაფერი, თითქოს ძალიან, ძალიან ბანალურად დაიწყო...

90-იანები იდგა და ამიტომ, ყაჩაღობა, ქურდობა თუ მკვლელობა უცხო ხილი არავისთვის იყო. ღამეს ვინ ჩივის, დაბინდებულზეც კი გარეთ გასვლას ყველა ერიდებოდა, მაგრამ როცა აუცილებელი იყო, ადამიანები მაინც რისკავდნენ, გარეთ გადიოდნენ და... სწორედ ასე, შებინდებულზე თქვა ქალმა, მალე მოვალ, მეგობარს უნდა შევხვდეო, სახლიდან გავიდა და ორი საათის შემდეგ, ავტოფარეხებთან გარდაცვლილი იპოვეს. პირველადი ვერსიით, ქალს თავში რაღაც ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და ყველაფერი, სავარაუდოდ, გაძარცვის მიზნით მოხდა, რათა ქალის ჩანთა ამოტრიალებული იყო, ფული არსად ჩანდა, მაგრამ ოჯახის წევრებმა თქვეს, მაქსიმუმ, იმდენი ფული ექნეოდა, 2-3 პურის საყიდლად თუ ეყოფოდაო, ოქროულობა კი მანამდე, გაჭირვების ჟამს, გაყიდეს და შესაბამისად არ ეკეთა. მეორე დღეს თქვა ექსპერტმა, თავში არაფერი ჩაურტყამთ, ხელი კრეს, ან უბრალოდ წააქციეს და დაცემის დროს, მიწიდან ამოწვერილ რკინის ნაჭერზე დაარტყა თავი და მაგის გამო გარდაიცვალაო. ასე იყო თუ ისე, სამართალდამცავებს გვამი ჰქონდათ, ძარცვის კვალიც სახეზე იყო და საქმე უნდა გამოეძიებინათ.

გარდაცვლილს სახლში შვილი და რძალი დარჩა, რომელსაც ორ თვეში უნდა ემშობიარა. როგორც გაირკვა, ოჯახს ძალიან უჭირდა, იმდენად, რომ ქალი რამდენიმე ადგილზე მუშაობდა დამლაგებლად, ბიჭიც თავს იკლავდა, შავ მუშად ყოფნას არ თაკილობდა, მაგრამ რად გინდა, შედეგი ნული იყო. ოჯახს ნამდვილად არ ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ თავი ნორმალურიად ერჩინა და ახლა, ახალშობილი ნამდვილი სასჯელი იქნებოდა – მისი გაზრდისთვის დედა-შვილს უფრო უნდა ეწვალა. რძალი კი წუხდა, რამე რომ შემეძლოს, მეც ვიმუშავებდი, მაგრამ ამხელა მუცლით როგორ მოვახერხოო და მართალიც გახლდათ, ასეთი მუცლით მუშაობა წარმოუდგენელი იყო.

„მტრები არ გვყავს. კი ხედავთ, როგორ ვცხოვრობთ და რა მტრები, ჩვენი მთავარი საზრუნავი ყოველდღიური ლუკმა-პურის შოვნაა და წვალებით ხან ვახერხებთ, ხან – ვერა. ისეც ყოფილა, რომ მე და დედას არ გვიჭამია, ჩემს ცოლს რომ ეჭამა და ბავშვს, რომელსაც ველოდებით, შესაბამისი საკვები ჰქონოდა. ახლა არ ვიცი, რა მეშველება, ის კაპიკები, რომელსაც დედას დალაგებაში უხდიდნენ, ძალიან გვშველოდა“, – წუხდა შვილი.

გამოძიებას ერთადერთი ვერსია ჰქონდა – ქალი რიგითი მძარცველების მსხვერპლი გახდა, რომლებმაც მას ჩანთის წართმევა დაუპირეს, გარდაცვლილმა არ დაანება, მერე ხელი ჰკრეს, ის წაიქცა, თავი დაარტყა და მძარცველებმა ჩანთა ამოატრიალეს, ეგებ, არც კი იცოდნენ, რომ ქალი მოკვდა და გაიქცნენ. ასეთი საქმის გახსნა ძალიან რთული იყო და იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცველებმა აგენტურული ქსელიც „ამოქოქეს“, იმედი, რომ საქმე გაიხსნებოდა, ძალიან მცირე გახლდათ. ამის მიუხედავად, ძალოვნები გასვენებაშიც წავიდნენ, იქნებ, ვინმეს ისეთი რამ წამოსცდეს, რაც არ ვიცითო და არც შემცდარან – ქალის ერთ-ერთი მეგობარი სადაქალოს ეჭორავებოდა, ეს უბედური რაღაც შარში იყო გახვეული, ბოლო ერთი კვირა იმას მიმტკიცებდა, ძალიან, ძალიან დიდ ფულს ვიშოვი, ისეთი მეწველი ძროხა გამოვიჭირე, მთელი ცხოვრება უზრუნველად ვიცხოვრებო. ეს გამოძიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო, რადგან გამოდიოდა, რომ ქალი ვიღაცის დაშანტაჟებას აპირებდა. ამიტომ, საჭირო იყო, ის ორგანიზაციები თუ ბინები მოენახათ, სადაც ქალი ალაგებდა და მერე ეგებ, ისიც გაერკვიათ, რას მოჰკრა ყური ისეთს, რომ ყველაფერი სიცოცხლის ფასად დაუჯდა. გარდა იმისა, რომ აგენტურული ქსელი ვერაფერს ამბობდა, ქალის ჩაცმულობის მიხედვით, მასზე „გოპ-სტოპ“ თავდასხმა არ უნდა მომხდარიყო.

„დედა მართლა გულიანად ალაგებდა, ვიცი, რომ სამ სახლში მუდმივად დადიოდა, კიდევ ორ საწარმოში. ცოტა ხნის წინ თქვა, ძველი, ძალიან ძველი მეგობარი ვნახე შემთხვევით, მისი სახლის დასალაგებლად მივედიო და ყველაფერი რაღაცნაირად ახარებდა, თითქოს რაღაც იმედის სხივი გაუჩნდა. ვიფიქრე, ეგებ, მეგობარი რაიმე სამსახურს დაჰპირდა-თქო, მაგრამ მსგავსი არაფერი უთქვამს. სახელი და გვარიც მახსოვს იმ ქალის, მაგრამ ვერ გავიხსენე, დედას მანამდე რომ ეთქვა, ჩემი მეგობარი იყოო და არც ბავშვობაში მახსენდება, ჩვენთან სტუმრად რომ მოსულიყო, ან ჩვენ წავსულიყავით მასთან“, – უთხრა გამომძიებელს შვილმა.

სანამ ქალის დასაკითხად წავიდოდნენ, სამართალდამცავებმა მისი ვინაობის გარკვევა დაიწყეს და საინტერესო დეტალს მიაგნეს. ქალს ქმარი და ერთი შვილი ჰყავდა და ის შვილი იმავე სამშობიაროში და იმავე დღეს გააჩინა, როცა გარდაცვლილმა იმშობიარა. მეტიც, ჩანაწერების მიხედვით, მათ პალატაში ერთად 4 დღე გაატარეს და რაც მთავარია, მხოლოდ ორნი იყვნენ ანუ ოთხი დღის განმავლობაში, მათ შეეძლოთ, ერთმანეთისთვის ბევრი რამ მოეყოლათ, მაგრამ რა? რა შეიძლება უთხრას ერთმა მშობიარემ მეორეს ისეთი, რომ ათეული წლების შემდეგ, მისი მოკვლის სურვილი გაგიჩნდეს? შეამოწმეს სხვა ბინებიც და ობიექტებიც და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა რამე გაეგო, ან ძველი ამბავი გაეხსენებინა, სწორედ იმ ქალის სახლი იყო. ქალზე თვალთვალი დაწესდა, მაგრამ ამაოდ – ის სახლიდან პრაქტიკულად არ გადიოდა და თუ გადიოდა, მხოლოდ პროდუქტის საყიდლად, რათა შვილისა და ქმრისთვის საკვები მოემზადებინა. საჭირო იყო ქალისთვის ისეთი რამ ეთქვათ, რომ აფორიაქებულიყო. ბევრი ფიქრის შემდეგ... მარტივი ხრიკი გადაწყდა. მის სახლის ტელეფონზე მილიციის თანამშრომელ ქალს დაარეკინეს და ათქმევინეს, დავინახე, რომ მკვლელობა შენ ჩაიდინე, უფრო ზუსტად, ხელი რომ ჰკარიო, ის ქალი რომ დაეცა, მერე ჩანთა რომ ამოატრიალე და იქიდან რაღაცები აიღე და თუ არ გინდა, ყველაფერი სამართალდამცავებმა გაიგონ, 3 ათასი დოლარი ამა და ამ ადგილზე მოიტანე, ფულის მოსაგროვებლად და მოსაფიქრებლად 5 დღეს გაძლევო.

მაშინ, 3 ათასი დოლარი ძალიან დიდი ფული იყო (თბილისის გარეუბანში, ამ ფასად ბინას იყიდდი) და მოსაგროვებლად დრო აშკარად საჭირო გახლდათ. ძალოვნები ეჭვმიტანილის თვალთვალს აგრძელებდნენ და დარეკვიდან მეორე დღეს, გამარჯვებაც იზეიმეს – ქალი ლომბარდში წავიდა და ოქროულობა დააგირავა, პარალელურად, ყოველდღიურ რუტინას გადაუხვია და მეგობრებს ესტუმრა, სავარაუდოდ, ფულის სასესხებლად. გამომძიებლები ხუთ დღეს აღარ დაელოდნენ, ქალს მეორე დღეს, დილით მიაკითხეს სახლში და პირდაპირ უთხრეს, ვიცით, მკვლელი შენ ხარ და თუ აღიარებით ჩვენებას მოგვცემ, სასჯელი შეგიმსუბუქდება, მით უმეტეს, ექსპერტს უკვე დასკვნა აქვს დაწერილი, რომ მკვლელობა გაუფრთხილებლობით მოხდაო. ქალმა ტირილი დაიწყო, მერე კი სავარძელში ჩაჯდა, თავი ჩაღუნა და დაიწყო:

„მოკვლა არ მინდოდა, თუმცა მოსაკლავი კი იყო. მე და ჩემს ქმარს ერთმანთი ბავშვობიდან გვიყვარდა. ბაღში ერთად, სკოლაში ერთად, უნივერსიტეტშიც კი ერთად. მერე, ყველაფერი ლოგიკურად, ქორწილით დასრულდა. 3-4 წელი შვილი რომ არ გაგვიჩნდა, სერიოზულად შევშფოთდით და ექიმებთან სიარული დავიწყეთ. ექიმი ჩემი დეიდაშვილი იყო და მან მითხრა, შენი ქმარი უნაყოფოა, ვერასდროს შეძლებს შვილის ჩასახვას და ამას უნდა შეეგუოო. რა უნდა მექნა? სხვა კაცი ჩემს გვერდით არ წარმომედგინა, ქმრისთვის ეს რომ მეთქვა, შეიძლება თავი მოეკლა, ძალიან, ძალიან ამაყი და თავმოყვარეა. ჩემმა დეიდაშვილმა მითხრა, ეგებ, სხვისგან გააჩინო და არც არავის ეცოდინებაო. ეს ფიქრი მაწუხებდა და მერე ისე მოხდა, ქმართან ერთად, ზღვაზე წავედი დასასვენებლად, ქმარი სამსახურის საქმეებზე სამი დღით დაბრუნდა... იმ სამ დღეში, მოვასწარი და ვიღაც კაცთან ორი ღამე გავატარე. მას შემდეგ, ის კაცი არ მინახავს. ფეხმძიმედ დავრჩი, ჩემი ქმარი სიხარულით დაფრინავდა და ბიჭი გავაჩინე. ახლაც არ ვიცი, რატომ... აი, მთელი ცხოვრება ვეკითხები ჩემს თავს, რატომ მოვუყევი ვიღაც უცხო ქალს პალატაში ყველაფერი. მერე წლები გავიდა, თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ შინაგანად ველოდი, რომ ადრე თუ გვიან, იმ ქალს სადმე გადავეყრებოდი. 30 წელი გავიდა, მაინც არ მასვენებდა ეს ფიქრი. ცოტა ხნის წინ, ხელი ვიღრძე და სახლის „გენერალური უბორკა“ მქონდა გასაკეთებელი. მეგობარმა მირჩია, კარგი დამლაგებელიაო და ეს „კარგი დამლაგებელი“ სწორედ ის აღმოჩნდა, ვისი გამოჩენისაც მთელი ცხოვრება მეშინოდა. რა თქმა უნდა, მიცნო, მერე ის ამბავი გაიხსენა და წავიდა. დილით დამირეკა, ნახვა მინდა შენიო. მოვიდა და პირდაპირ მითხრა, ისე მიჭირს, ფული უნდა გთხოვო და ნუ მაიძულებ, შენს ქმარს ყველაფერი მოვუყვეო. 500 დოლარი მთხოვა, მეორე დღისთვის სახლთან დამიბარა და სიმართლე გითხრათ, შვებით ამოვისუნთქე, რადგან არ იყო 500 დოლარი დიდი თანხა. ვიშოვე და მივედი, იმან კიდევ, დაიმახსოვრე, დღეს რა რიცხვია, 500 დოლარი ყოველ თვე უნდა მიხადოო. თვალთ დამიბნელდა, გავმწარდი და ხელი ვკარი. რომ დაეცა და მხოლოდ ერთხელ დაიკვნესა, ვიფიქრე, გონება დაკარგა-მეთქი, მერე მივხვდი, რომ მოკვდა. ჩემი ფული ავიღე, ჩანთა ამოვატრიალე, ძარცვა რომ ჰგონებოდათ და წავედი. სულ ეს არის“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

სასამართლომ გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის ქალს ხუთწლიანი პირობითი სასჯელი მისცა.

სტალინის ბიუსტში ნაპოვნი განძი

რა შეტყობინება გაუგზავნა კრიმინალმა ციხიდან ცოლს

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე ტექნოლოგიების მიუხედავად, ბრილიანტისა თუ ოქროს კარიერიდან მაინც იტაცებენ მოპოვებულ ძვირფასეულობას. ადრე ოქროს ნატეხებსა და დაუმუშავებელ ბრილიანტს, ძირითადად, ყლაპავდნენ და ისე გამოჰქონდათ, მერე და მერე, ტექნოლოგია დაიხვეწა, ვილაცებმა გარეული ფრინველები (ძირითადად, მტრედი, ყვავი და კაჭკაჭი) გაწვრთნეს, სტვენის ხმაზე, ისინი მიფრინდებოდნენ საბადოს ტერიტორიაზე, იქ ფეხზე მიმაგრებულ ქისაში ჩაუდებდნენ ოქროს ან ბრილიანტის ნატეხს და უკვე, საბადოს გარეთ მდგარი მეობარი უსტვენდა და ფრინველიც უკან მიფრინავდა. ეს პრობლემა საბადოს შეფობამ მარტივად გადაჭრა – თოფიანი კაცი დააყენეს, რომელიც საბადოს ტერიტორიაზე შემოფრენილ ნებისმიერ ფრინველს ესროდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის ქისით იყო, თუ მის გარეშე. იყო შემთხვევა, როცა ოქროულს ღორის ქონით პოხავდნენ, შემდეგ ღორის ქონზე გაზრდილ ვირთაგვას უშვებდნენ და ძვირფასეულობა მას მოჰქონდა. ცალკე პრობლემა იყო საიუველირო მაღაზიებში მომუშავე პერსონალის შერჩევა და მათი ნდობა.
ყოველდღიურად აღრიცხვის გაკეთება წარმოუდგენელი იყო, ბოლოს კი, ოქროული ხშირად აკლდათ მაღაზიებში და ...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრილიანტის თვლების ქურდობისთვის გასამართლებული პირი მოკლეს. რა თქმა უნდა, გამოძიება დაიწყო, მაგრამ შანსი, რომ დამნაშავე ეპოვათ, ძალიან მცირე გახლდათ. ღია ზონაზე, მოფარებულ ადგილას, მას ღვიძლში რკინის წამახვილებული ნაჭერი ორჯერ გაუყარეს და დატოვეს. ბევრი ამბობდა, ბრილიანტების ქურდის მიმართ ინტერესი დიდი იყო, მას კრიმინალური ავტორიტეტები „აკაჩავებდნენ“, მაგრამ ჯიუტად იმეორებდა, არაფერი მომიპარავს, დამაბრალეს, რეალური ქურდები სხვები არიანო. როგორც ჩანს, მას ბოლომდე არ დაუჯერეს და ამიტომ მოკლეს. გამქრალი ბრილიანტების კვალი სამართალდამცავებსაც აინტერესებდათ და ამიტომ, გამოძიებას მთელი რესურსით აწარმოებდნენ, მაგრამ ვერაფერი გამოადნეს. არც მოწმე, არც მკვლელი... არავინ. ამის მიუხედავად, გარდაცვლილის სახლთან 24-საათიანი თვალთვალი დააწესეს, რადგან გარანტია არ ჰქონდათ, რომ მოკლულმა მართლაც არაფერი თქვა და მის ოჯახს საფრთხე არ ემუქრებოდა. მათ ისიც დაინახეს, რომ მოკლულის სახლთან სხვებიც მორიგეობდნენ, კრიმინალები და ისე ჩანდა, ისინიც რაღაცას თუ ვიღაცას ელოდნენ, მაგრამ რას, ან ვის?

მომხდარიდან ორი კვირის შემდეგ, მოკლულის სახლთან კრიმინალები აშკარად მომრავლდნენ, ყველა შესასვლელი თუ გასასვლელი გადაკეტეს და ძალოვნები მიხვდნენ, რომ სწორედ ამ დღეს უნდა მომხდარიყო რაღაც. შუადღისთვის, კორპუსთან 60 წელს მიტანებული კაცი გამოჩნდა. ნელა, ტაატით მოდიოდა, ნაბიჯებს მძიმედ ადგამდა და საერთოდ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა ირგვლივ. როგორც კი სადარბაზოს მიუახლოვდა, მას ორი კრიმინალი ეცა, ხელები ამოუგრიხეს, რაღაც ჰკითხეს და სანამ სამართალდამცავები აზრზე მოვიდოდნენ, ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოუღეს, კაცს დანა გაუყარეს და გაიქცნენ. ოპერმუშაკები გაქცეულებს დაედევნენ, სასწრაფოც გამოიძახეს, მაგრამ მამაკაცს ეტყობოდა, რომ სასწრაფოს მოსვლამდე ვერ მიატანდა. მან თავთან დახრილ ოპერმუშაკს ჩურჩულით უთხრა, ციხიდან გუშინ გავთავისუფლდი, ჩემი მეგობრის ქვრივთან წერილი მომქონდა და სწორედ ის წერილი წამართვესო. რა ეწერა წერილში, მან არ იცოდა და ახლა მთავარი იყო, გაქცეულები დაეკავებინათ, თორემ საქმე გართულდებოდა. ცოტა ხანში ოპერმუშაკები ხელცარიელი დაბრუნდნენ, გაქცეულები ვერ დააკავეს. ეჭვი, რომ წერილში ბრილიანტების ადგილსამყოფელი ეწერა, სავსებით საფუძვლიანი იყო. გაჩნდა ეჭვი, რომ გარდაცვლილს, შესაძლოა, ბრილიანტები სადმე, სახლში ჰქონოდა დამალული, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყვეს, რადგან ძიების დროს, ბინა ლამის აგურ-აგურ შეისწავლეს, ექსპერტები ორი კვირა მუშაობდნენ, ყველა საეჭვო ბზარსაც კი გულმოდგინედ სწავლობდნენ, იატაკი აყარეს და ახლიდან დააგეს...

სამი დღის შემდეგ, რადგან კორპუსთან მოძრაობა აღარ შეინიშნებოდა, თვალთვალი შეწყდა და ეს იყო ერთ-ერთი დიდი შეცდომა, რომელიც ძიებამ დაუშვა. თვალთვალის მოხსნიდან ორ დღეში, იმ კორპუსის მაცხოვრებელმა დარეკა და განაცხადა, რომ მისი მეზობელი ვიღაცებმა სადარბაზოდან მოიტაცეს, მანქანაში ჩატენეს და გაქცევა მხოლოდ 11 წლის ბიჭმა მოახერხა, ის თავდამსხმელებს ხელიდან გაუსხლტა და სადარბაზოს კიბეებზე გაიქცა, მეზობლის ღია კარში შევარდა და შიგნიდან ჩაკეტა. კარის მტვრევის დრო არ იყო, ყვირილზე არაერთმა მეზობელმა გამოიხედა. ახლა ის იყო საინტერესო, სად გაიტაცეს ქალი, თორემ რატომ გაიტაცეს, ყველა ხვდებოდა. სავარაუდოდ, მამაკაცმა ცოლს მიანიშნა, თუ სად იყო დამალული ბრილიანტები და ამას კრიმინალები ვერ მიხვდნენ. ქალზე ძებნა გამოცხადდა, საქმეში აგენტურული ქსელიც ჩაერთო და ერთ-ერთმა აგენტმა თქვა, იმ ბიჭებს ვიცნობ, რომლებიც კორპუსთან „პატრულირებდნენ“ და როცა მაგათ ვინმე მიჰყავთ, ყოველთვის ლოტკინზე, ერთ-ერთ სახლში მალავენო. სახლის თვალთვალი დაიწყო, იქ მხოლოდ ერთი მამაკაცი შედიოდა და გამოდიოდა. მხოლოდ ერთი კაცის იმედად გატაცებული ქალის დატოვება არარეალურად ჩანდა, მაგრამ როცა კაცი სასურსათო მაღაზიიდან გამოვიდა, სპეცოპერაციის დაწყება გადაწყდა. მიზეზი მარტივი იყო – სხვადასხვა პროდუქტთან ერთად, მას ცელოფანში 4 პური ედო და ერთი კაცისთვის 4 პური აშკარად ბევრი იყო...

სპეცდანიშნულების რაზმი სახლში უხმაუროდ შევიდა, მაგრამ უხმაუროდ დაკავება არ მოხერხდა. კრიმინალებმა წინააღმდეგობის გაწევა დააპირეს და ამიტომ, ოთხი ადამიანიდან ორი დაიჭრა, ერთი შედარებით მძიმედ (მოგვიანებით, ის საავადმყოფოში გარდაიცვალა). გატაცებული და გვარიანად ნაწამები ქალი სარდაფში, სკამზე იყო მიბმული. ის მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, დაცვა მიუჩინეს და ექიმების რეკომენდაციით, დაკითხვა ორი დღით გადადეს. ორი დღეც მალე გავიდა.

„არ ვიცი, რა მომწერა ჩემმა ქმარმა. უფრო სწორედ, ვიცი, მაგრამ ვერ ვხვდები, რა უნდა გავაკეთო. მან მომწერა, ჩემი ხელოვნების ნიმუში დაასრულეო. ჰო, წერილი ჩემი თვალით ვნახე, მხოლოდ ეს ოთხი სიტყვა ეწერა – „ჩემი ხელოვნების ნიმუში დაასრულე“. რა ხელოვნების ნიმუში, მთელი ცხოვრება კრიმინალი იყო, ხელოვნება კი არა, ორჯერ ორი არ იცოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა ზოგადად განათლებაზე. ესენი შვილის მოკვლით დამემუქრნენ და როგორ გგონიათ, რომ მცოდნოდა, არ ვეტყოდი?“, – განაცხადა ქალმა.

გამომძიებლებმა მოიკითხეს და დარწმუნდნენ, რომ ბრილიანტების ქურდობისთვის გასამართლებული და იმ ეტაპზე ციხეში მოკლული მამაკაცი მართლაც შორს იყო ხელოვნებიდან და მთელი თავისი შეგნებული თუ შეუგნებელი ცხოვრება მხოლოდ კრიმინალს დაუთმო. ისე, ვიღაცას ისიც უთქვამს, „სროკზე“ წასვლის შემდეგ ბედნიერი იყო, იმდენი მაინც მოვახერხე, რომ ჩემი ცოლ-შვილი, რომელიც გავაწამე, სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად იცხოვრებსო, მაგრამ როგორ? რანაირად? რაც მთავარია, გამომძიებლებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ქალი სიმართლეს ამბობდა, რადგან გამორიცხული იყო, იმ წამების მეთოდებისთვის გაეძლო, რომელსაც მის მიმართ კრიმინალები იყენეებდნენ და თანაც, ასე დამაჯერებლად ვერ იარტისტებდა.

ქალი გაუშვეს, დაკავებულები გაასამართლეს და ყველამ აღიარა, რომ ქალმა არაფერი იცოდა და მისმა მეუღლემ სიმართლე ბრილიანტებზე საფლავში წაიღო.

ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, ქალიც მიხვდა, რომ საფრთხე აღარ ემუქრებოდა და ქუჩაშიც თამამად დადიოდა, შვილსაც თამამად ტოვებდა სახლში, მარტო. ფინანსურად ძალიან უჭირდათ, მაგრამ ცოცხლები იყვნენ და რაც მთავარია, მათ შეეშვნენ, როგორც კრიმინალები, ისე – სამართალდამცავები...

მალე მთელ საქართველოში ყველას გაუჭირდა – საბჭოთა კავშირმა დაშლა დაიწყო, უმუშევრად დარჩენილმა მოსახლეობამ – ქვეყნის ძარცვა. ცხოვრება უფრო გაჭირდა და ადამიანებმა ავტოფარეხების, საოჯახო ნივთების, ოქროულის გაყიდვა დაიწყეს. ავტოფარეხი გაყიდა ჩვენი გმირის მეუღლემაც. ქვრივი ქალი საკუთარი თავისა და ბავშვის გამოკვებას ცდილობდა და ვინაიდან მანქანა არ ჰყავდა, „გარაჟს“ ადვილად შეელია. მისი გაყიდვის შემდეგ კი, ქალმა ერთ თვეში, სახლიც მიაყიდა და ქვეყნიდან წავიდა. მალე გაირკვა, ის ევროპაში გადავიდა, თავშესაფარი ითხოვა (მაშინ ეს უცხო ხილი იყო და თუნდაც ინტერესის გამო, ევროპული ქვეყნები, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს უფრო მარტივად აძლევდნენ) და მალე გერმანიაში საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. ქართველი სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ქალმა ბრილიანტებს მიაგნო, მაგრამ როგორ? სად? მოთხოვნა მისი გადმოცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა, თუმცა წლების შემდეგ, საიდუმლოს ფარდა აეხადა ანუ მას შემდეგ, რაც ქალიცა და მისი ბრილიანტებიც საბოლოოდ ყველას მიავიწყდა, საზღვრები გაიხსნა და ევროპაში მისვლა-მოსვლა პრობლემა აღარ იყო, ქალმა ძველ სამეზობლოს ხშირად გაუმართა ხელი (ახსოვდა, როცა უჭირდა, ისინი რომ ეხმარებოდნენ) და საიდუმლოც მაშინ გათქვა.

„როცა ავტოფარეხი გავყიდე, იქაურობის დაცლა გადავწყვიტე, ვიფიქრე, იქ მიყრილ ხარა-ხურაშიც რამეს მომცემს ვინმე-მეთქი. სწორედ იქ ვნახე სტალინის ბიუსტი, თაბაშირისგან გაკეთებული. ნაწვალები და ნათითხნი იყო, იქვე იყო ყალიბიც და მივხვდი, რომ ჩემი ქმარი ცოდვილობდა, ალბათ, თავისუფალ დროს. მაშინვე მისი წერილი გამახსენდა და ბიუსტი დავამტვრიე. იქ იყო ჩაშენებული თუ ჩაკრული ბრილიანტები. არ დავიბენი, ავტოფარეხი მაინც გავყიდე და შემდეგ უკვე ქვეყნიდან წასვლაზე დავფიქრდი. საქართველოში რომ გავმდიდრებულიყავი, არც სამართალდამცავები მაპატიებდნენ და არც – კრიმინალები“, – ასეთი იყო ქალის მონაყოლის მოკლე შინაარსი.

ბათო ჯაფარიძე

გასულ წელს, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად, 442 ადამიანი გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ამ სტატისტიკას ვერაფრით ვაუმჯობესებთ და წლიდან წლამდე, ასეულობით ადამიანს სწორედ გადაჭარბებული სიჩქარის, სიმთვრალისა და სხვადასხვა მიზეზის გამო ვკარგავთ. სამწუხაროდ, გარდაცვლილთა შორის ბევრია არასრულწლოვანი, ჩვილი ბავშვი, ორსული. ისევ გავიმეორებ, რომ ამ მიმართულებით კანონი უფრო უნდა გამკაცრდეს და მაგალითად, ნასვამ, ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო, მძღოლს მართვის მოწმობა არა ერთი და ორი წლით, არამედ, სამუდამოდ უნდა ჩამოერთვას. სხვაგვარად, არაფერი გამოდის, ვერ თუ არ მიეჩვივნენ ქართველი მძღოლები, რომ ნასვამი, ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ ყოფნის შემთხვევაში, ავტომობილის მართვა არ შეიძლება.

გავლენიანი მაღალჩინოსნის შვილის ფეხმძიმე შეყვარებული ავარიას ემსხვერპლა

რა მოხდა წყნეთის გზაზე

ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ბანალური დასაწყისი და ზედმეტად დრამატული ფინალი ჰქონდა. მერე, როცა ყველაფერი დასრულდა, ვიღაცებმა თქვეს, რომ მომხდარი ახალგაზრდული გამოუცდელობის ბრალია, სხვებმა გათამამებულ, „მამიკოს ბიჭების“ თაობას დააბრალეს, სინამდვილეში კი...

წყნეთიდან თბილისისკენ მომავალ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მოტოციკლს, რომელსაც ახალგაზრდა გოგონა მართავდა, ავტომობილი დაეჯახა. გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ავტომობილის მძღოლი კი მიიმალა. რა თქმა უნდა, მიიმალა საკუთარი მანქანით და იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ წყნეთის მიმართულებით ბევრი ავტომობილი არ მოძრაობდა, მოწმის პოვნის იმედიც ძალიან მცირე იყო. გარდაცვლილის ვინაობა მალე დაადგინეს და ისიც გაარკვიეს, რომ ახალგაზრდები (მათ შორის, ეს გოგოც), წყნეთში, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის აგარაკზე ერთობოდნენ და მეტიც, ეს გოგო, სწორედ იმ მაღალჩინოსნის შვილის შეყვარებული იყო. ახალგაზრდები დაკითხეს და, პრაქტიკულად, ყველამ ერთი და იგივე ჩვენება მისცა.

„გარდაცვლილი და სახლის პატრონი დიდი ხნის შეყვარებულები არიან, ველოდებოდით, რომ დღე-დღეზე იქორწინებდნენ. ახლა, რომ ვქეიფობდით, გარდაცვლილმა თქვა, სიურპრიზი მაქვს, რომელსაც სუფრის ბოლოს ხმამაღლა გამოვაცხადებო და ყველა ამ სიურპრიზის მოლოდინში ვიყავით. მერე რაღაც მოხდა, სახლის მეპატრონემ თქვა, სასწრაფო საქმე გამომიჩნდაო და იმის მიუხედავად, რომ ნასვამი იყო, საჭესთან უახლოეს ძმაკაცთან ერთად დაჯდა და წავიდა. გოგონამ თქვა, მართლაც, რაღაც ხდებაო და უკან მოტოციკლით დაედევნა. ეს მოტოციკლი შეყვარებულმა უყიდა, გიჟივით დააქროლებდა და არასდროს იკეთებდა ჩაფხუტს, არ მიყვარსო. ამჯერადაც ასე წავიდა, შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოხდა“...

გამომძიებლებმა ბიჭებიც დაკითხეს, მათ მხრები აიჩეჩეს, ჩვენ არავინ გვინახავს, რამდენიმე მანქანა კი გაგვცდა, მაგრამ აბა, რა ვიცით, იმას რომელი დაეჯახაო. ყოველი შემთხვევისთვის, გადაამოწმეს ის ავტომობილიც, რომლითაც ბიჭები იყვნენ წასულნი და მას დაზიანება არ ეტყყობოდა ანუ ისინი ავარიასთან კავშირში არ იყვნენ. მაშინ, ავტოსახელოსნოებიც არ იყო ასე ყოველი ფეხის ნაბიჯზე გახსნილი და ამიტომ, მათი მეპატრონეები და ხელოსნები კატეგორიულად გააფრთხილეს, თუ საეჭვო დაზიანებით მიიყვანდნენ ავტომობილს გასაკეთებლად, აუცილებლად ძალოვნებისთვის უნდა ეთქვათ. ამასობაში, ექსპერტიზის დასკვნაც მოვიდა, რამაც ძიება უფრო დაამწუხრა – გოგონა ორსულად იყო და სავარაუდოდ, ეს გახლდათ ის სიურპრიზი, რომლის გამოცხადებასაც აპირებდა. განმეორებითი დაკითხვის დროს ბიჭმა მხრები აიჩეჩა, არ ვიცოდი, თუ ორსულად იყო და ზოგადად, დაახლოებით, ორი კვირის წინ ვუთხარი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დასრულდა, მე სხვა შემიყვარდა და მალე ქორწილიც უნდა მქონდეს-თქო. ეს რაღაც ახალი იყო, ის, რომ ბიჭს სხვა უყვარდა, არცერთმა მისმა მეგობარმა არ იცოდა, მაგრამ ბიჭი ჯიუტად ამტკიცებდა, ყველამ ყველაფერი იცისო და იმ გოგონას ვინაობაც დაასახელა, ვის მოყვანასაც აპირებდა. გოგო მამამისის მეგობრის, გავლენიანი მაღალჩინოსის შვილი გახლდათ და მართლაც, ქორწილი ერთი თვის შემდეგ იყო დანიშნული.

ძალოვნებმა ხელები უიმედოდ ჩამოუშვეს, მიხვდნენ, თუ ავტოსახელოსნოებიდან არ იქნებოდა რამე საინტერესო, ვერაფერს გახდებოდნენ. თანაც, არც ის იცოდნენ, რამდენად დიდი დაზიანება მიადგა ავტომობილს? ვინ იცის, ეგებ, ოდნავ დაზიანდა, უმნიშვნელოდ, ისე, რომ მისი მფლობელი მანქანას გასაკეთებლად სამი-ოთხი თვის შემდეგ მიიყვანდა, ან საერთოდ არ მიიყვანდა. ამასობაში, ქორწილის დღეც მოვიდა და ერთ-ერთმა გამომძიებელმა, ყოველი შემთხვევისთვის, გადაწყვიტა დასწრებოდა, უფრო ზუსტად, თვალი შორიდან მიედევნებინა და ასეც მოიქცა. დიდი ბედნიერება არც სიძეს ეტყობოდა, არც – პატარძალს, უფრო კმაყოფილები მათი მშობლები ჩანდნენ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი – გამომძიებლის ყურადღება ამ ავტომობილმა მიიპყრო, რომელიც შეამოწმეს და რომელიც სიძეს ეკუთვნოდა. მას კარგად ახსოვდა, რომ როცა ერთი თვის წინ მანქანა ნახეს, მას შინდისფერი ჩიხოლები ჰქონდა, გაუკვირდა კიდეც, მწვანე მანქანას შინდისფერი ჩიხოლები რომ არ უხდებოდა, ახლა კი, ჩიხოლები მომწვანო ფერის იყო. ახლოს მივიდა, დააკვირდა და იმასაც მიხვდა, რომ ჩიხოლები ახალი ნამდვილად არ იყო ანუ არ შეუცვლიათ. მაშინ შემოირტყა თავში ხელი გამომძიებელმა, როცა გაიხსენა, რომ ავტომობილი უბრალოდ გარედან დაათვალიერეს, სანომრე ნიშანი შეამოწმეს და არ შეამოწმეს ძრავის ნიშანი. მარტივად შეიძლებოდა, ნომრები სხვა მანქანაზე გადაეტანათ და ის ენახებინათ სამართალდამცავებისთვის. იგივე მარკისა და იგივე ფერის ავტომობილი, სიძის მაყრიონში კიდევ იყო და მას... შინდისფერი ჩიხოლები ჰქონდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გამოძიება უბრალოდ მოატყუეს, „დიდი კოვზით აჭამეს“ და მათაც სატყუარა გადაყლაპეს.

ქორწილის მეორე დღეს, შესაბამისი ორდერით, გამომძიებელი მანქანის ახლიდან სანახავად მივიდა. ავტომობილი „ამოიღეს“ და ექსპერტიზაზე გადაიყვანეს. ექსპერტიზის დასკვნით, მას წინა, მარჯვენა „კრილო“ ახალი შეღებილი ჰქონდა. ცხადი გახლდათ, ავარია სწორედ ამ ავტომობილით მოხდა, მაგრამ გამორიცხული იყო, ბიჭს რამე ეღიარებინა, მით უმეტეს, პირველად მანქანაზე ეჭვი არ მიუტანიათ და იმ ახლობელმაც მარტივად დაადასტურა, მანქანის ჩიხოლებს ხანდახან ვხსნით და ერთმანეთს ვუცვლითო, რაც რეალურად, დიდი სისულელე იყო. მთავარი ის გახლდათ, ეპოვათ ხელოსანი, რომელმაც მანქანა ჩუმად გადაღება და სამართალდამცავების გაფრთხილების მიუხედავად, მათ არ შეატყობინა. მანქანის მღებავი თბილისში თითზე ჩამოსათვლელი იყო და ძალოვნებმა ყველა „პრესში“ გაატარეს, დაემუქრნენ, ხელიც შემოარტყეს და ერთ-ერთმა აღიარა, საერთო ნაცნობის მეშვეობით მომაგნეს, 1000 მანეთი გადამიხადეს, მე რა ვიცოდი, რომ ქალი იყო მკვდარი, თანაც ორსული ქალიო. ხელოსანმა პირობა დადო, რომ სასამართლოზე იგივეს გაიმეორებდა და ახლა მთავარი გახლდათ, ამ ოქროს მოწმეს გაფრთხილებოდნენ. ბიჭი დააკავეს, დააკავეს მისი მეგობარიც, რომელსაც ბრალი დანაშაულის დაფარვაში დასდეს. სწორედ ეს უკანასკნელი დაამუშავეს საგულდაგულოდ, თუ ითანამშრომლებ, მხოლოდ პირობითს მოგცემთ, თუ არადა, რეალური „სროკი“ არ აგცდებაო. მანაც ერთი ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო.

„არ ვიცი, ვინ, მაგრამ შუა ქეიფის დროს, ჩემს მეგობარს უთხრეს, რომ მისი შეყვარებულის სიურპრიზი მისი ორსულობა გახლდათ. ამ დროს, მამამისს კატეგორიულად ჰქონდა საკითხი დაყენებული, ვინ უნდა მოეყვანა მის შვილს ცოლად და როგორ უნდა დაენებებინა თავი ვიღაც ალქაჯისთვის, რომელიც მოტოციკლით დაჰქროდა. ბიჭი მამას წინააღმდეგობას ვერ უწევდა და გადაწყვიტა, იმ საღამოს ყველაფერი დაესრულებინა, მაგრამ ორსულობის გაგებამ შეაშინა, დააბნია და იქიდან უბრალოდ წასვლა დააპირა, მეც გავყევი და მალე შეყვარებული დაგვეწია. არ უჩერებდა, ის წინ გადაუდგა მოტოციკლით და დაუმუხრუჭა. ამან დამუხრუჭება ვეღარ მოასწრო, მარჯვენა გვერდი გაჰკრა და გზიდან გადააგდო. არ გაგვიჩერებია, რადგან თან შეგვეშინდა, თან გვეგონა, რომ დარტყმა არცთუ ძლიერი იყო. მაშინვე მანქანის გადამალვაზე დავიწყეთ ფიქრი, მაგრამ მერე მივხვდით, რომ სამართალდამცავები აუცილებლად მოითხოვდნენ მის ნახვას. ამიტომ, ჩემი მეგობრის მამასთან მივედით და ყველაფერი მან დაალაგა. მალე გავიგეთ, რომ გოგონა მოკვდა და მერე უკვე, ყველაფერი იცით“, – განაცხადა მეგობარმა.

მეგობარს მართლაც პირობითი მსჯავრი მისცეს, მაგრამ სერიოზული სასჯელი მთავარმა დამნაშავემაც აიცილა. მამამ და სიმამრმა იმდენი ქნეს, რომ მას მხოლოდ ოთხი წელი მისცეს, წელიწადნახევრის შემდეგ კი, ციხიდან გაათავისუფლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ფაქტზე ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ოთხი პირი დააკავეს.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1973 წელს დაბადებული შ.ხ., 1999 წელს დაბადებული ა.ო., 1997 წელს დაბადებული ლ.ბ. და 1993 წელს დაბადებული მ.გ.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის მენეჯერს, თანამშრომელთან ერთად შემუშავებული ჰქონდა თაღლითური სქემა. კერძოდ, „პრომო გოგონების“ მეშვეობით, ისინი ერთ-ერთი აპლიკაციით უკავშირდებოდნენ საქართველოში ტურისტულად მყოფ უცხოელ მამაკაცებს, რომლებსაც წინასწარ შემუშავებული თაღლითური სქემით თავს რესტორანში აპატიჟებინებდნენ. ამის შემდეგ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მათ შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამოდ დიდ თანხებს ახდევინებდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები ბრალდებულების მიერ დასახელებულ თანხას არ გადაიხდიდნენ, მათზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ამ გზით ეუფლებოდნენ ფულს.

გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის შუა აღმოსავლეთის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, თეიმურაზ კუპატაძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) შუა აღმოსავლეთის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელ სპეციალურ აგენტთან – მაიკლ რჟეპჩინსკისთან.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციას შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა განიხილეს. თეიმურაზ კუპატაძემ აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, დეპარტამენტის საქმიანობისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, კიბერდანაშაული და სხვა მძიმე ტრანსნაციონალური დანაშაულები.

შეხვედრის დასასრულს, თეიმურაზ კუპატაძემ მადლობა გადაუხადა აშშ-ის მხარეს წლების განმავლობაში გაწეული მხარდაჭერისათვის.

აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მრავალი წელია თანამშრომლობს, როგორც ოპერატიული აქტივობების განხორციელების, ისე ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

ფეხბურთელ ვახტანგ ჩარკვიანის გარდაცვალების საქმეზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ექთანს ერთი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიესაჯა

კორონავირუსით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის საქმეზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ექთანს, თეა ბეგიაშვილს სასამართლომ ერთი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ექთანი ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში იყო ბრალდებული.

როგორც გარდაცვლილი ფეხბურთელის მამამ, გაიოზ ჩარკვიანმა განაცხადა, ამავე საქმეზე 26 თებერვალს, 14:00 საათზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსის, ქეთევან ცერცვაძის სასამართლო პროცესი გაიმართება. მისი თქმით, გამოძიება მას სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით ედავება.

„ახალი გარემოებებიც გამოიკვეთა. ჩვენი ბრალი არ არისო და ხელმძღვანელობისკენ გაიშვირეს ხელი, არადა 2 წლის განმავლობაში ამ ხალხს ვეუბნებოდით, რომ დანაშაული ეღიარებინათ. ამაზე კატეგორიულ უარზე იყვნენ, მაგრამ მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენის მიზნით ეს გადაწყვეტილება მიიღეს“, – განაცხადა გაიოზ ჩარკვიანმა.

ცნობისთვის, 20 წლის ფეხბურთელი ვახტანგ ჩარკვიანი 2021 წლის 10 სექტემბერს, „რესპუბლიკურ საავადმყოფოში“ გარდაიცვალა. მას კორონავირუსი ჰქონდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, გიორგი რურუას საქმის განხილვა დაიწყო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, გიორგი რურუას საქმის განხილვა დაიწყო.

სხდომას, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა, თავად გიორგი რურუა არ ესწრებოდა.

პროცესზე მხარეებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გიორგი რურუასთვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი დაცვის მხარეს, 2020 წლის აგვისტოში აქვს გასაჩივრებული. ადვოკატები გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანას ითხოვენ.

ცნობისთვის, „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი რურუა თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ 2020 წლის 30 ივლისს ცნო და მას თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით შეუფარდა.

გიორგი რურუას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 381-ე მუხლის პირველი ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას და ძალაში შესული განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა, მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას გულისხმობს.

გიორგი რურუამ პენიტენციური დაწესებულება საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის შეწყალების საფუძველზე დატოვა.

სალომე ზურაბიშვილმა რურუას შეწყალების აქტს ხელი 2021 წლის 27 აპრილს მოაწერა.

პროკურატურამ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე, ექვს პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე, ექვს პირს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს“ ოთხმა წევრმა, 2023 წლის ნოემბერში, ორი მოდავე მხარის მიმართვის საფუძველზე, ქალაქ გორში „ქურდული გარჩევა“ მოაწყო. ბრალდებულებმა მხარეებს შორის არსებული კონფლიქტი განიხილეს და გადაწყვეტილება „ქურდული სამყაროს“ წესების შესაბამისად მიიღეს.

აღნიშნული ქმედებისთვის ოთხ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო ორ პირს ბრალდება სსკ-ის 223[4]-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვა) წარედგინა, რაც 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

პროკურატურა, ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ილია თოფურიამ ისტორია დაწერა – პირველი ქართველი ჩემპიონი UFC-ში!

შემდეგ ბრძოლას დვალიშვილიც ქამრისთვის გამართავს

მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია UFC არსებობს, არასდროს ყოფილა, რომ რომელიმე წონაში, ქართველი მებრძოლი ჩემპიონის ქამრის მფლობელი ყოფილიყო. შანსი პირველად გამოჩნდა – ქამრისთვის ბრძოლა ილია თოფურიასა და ლეგენდარულ ალეკსანდრ ვოლკანოვსკის შორის ჩაინიშნა. ვოლკანოვსკი ის კაცია, ვინც ეს ქამარი ექვსი წლის წინ მოიგო, ზედიზედ ხუთჯერ დაიცვა და დათმობას არც ახლა აპირებდა. ექსპერტებისა და საბუკმეიკერო კანტორების მთავარი ფავორიტიც სწორედ ის გახლდათ. ორთაბრძოლამდე საკუთარი აზრი არაერთმა ცნობილმა ადამიანმა გამოთქვა, მათ შორის, იყვნენ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებიც, რომლებიც ილიას გულშემატკივრობდნენ. მოგეხსენებათ, თოფურია ესპანეთისა და საქართველოს სახელით გამოდის. საკუთარი აზრი თქვა ამ წონის ოდინდელმა ჩემპიონმა, კჯონორ მაკგრეგორმა, რომელმაც უპირობო ფავორიტად ვოლკანოვსკი დაასახელა.

შეხვედრის პირველი რაუნდი ერთმანეთის დაზვერვით დაიწყო. მეტოქეები არ რისკავდნენ, მაგრამ ნათლად ჩანდა, რომ ბრძოლო 5 რაუნდს არ გაგრძელდებოდა და ორივე მებრძოლი მოწინააღმდეგის შეცდომას ელოდა. საბედნიეროდ, პირველი შეცდომა სწორედ ვოლკანოვსკიმ დაუშვა, ორი დარტყმა გაატარა, სახე დაუცველი დარჩა და ილიას მოქნეულმა მარჯვენამ ნოკაუტში ჩააგდო. ეს ქართველი მებრძოლისთვის ზედიზედ მე-15 გამარჯვება იყო (თოფურია ჯერჯერობით დაუმარცხებელია), ხოლო მთელი საქართველოსთვის ახალი ამბის მაცნე – ქამარი ჩვენია!

რა იქნება ხვალ და ზეგ? ამაზე ფიქრი ახლა შეუძლებელია, თუმცა იმის თქმა, რომ ილია წონაში დომინანტი იქნება, ადვილი მისახვედრია. ჯერჯერობით, მისი კონკურენტი არ ჩანს და რაც მთავარია, უდიდესი ალბათობით, ვოკლანოვსკი რე-მატჩს ვერ მიიღებს, რადგან ასე უიმედოდ წაგებული შეხვედრების შემდეგ, რე-მატჩებს არ ნიშნავენ. ქამრის წელზე შემორტყმისთანავე, თოფურიამ ბრძოლაში ლეგენდარული მაკგრეგორი გამოიწვია და თან ორგანიზატორებს სთხოვა, რომ მისი შემდეგი ბრძოლა მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართოს და პირობაც დადო, იმდენი გულშემატკივარი მყავს, სტადიონს შეავსებენო. ეს მართლაც ასე იქნება და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამ გამარჯვების სანაცვლოდ, თოფურია 500 ათას დოლარს მიიღებს, მაგრამ შემდეგ შეხვედრებში, მისი, როგორც ჩემპიონის ჯამაგირი, აუცილებლად შვიდნიშნა იქნება.

იმავე რინგზე, თოფურიამდე, საბრძლველად UFC-ის კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი, მერაბ დვალიშვილი გავიდა. მერაბის მეტოქე მექსიკელი ჰენრი სეხუდო იყო და ქართველს ზედიზედ მეათე გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებია. ძალიან, ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ შემდეგი ბრძოლა მერაბსაც ქამრისთვის ჰქონოდა და UFC-ის შეფმა, დანა უაითმა უკვე დაადასტურა, რომ დვალიშვილს შემდეგი შეხვედრა აუცილებლად ქამრისთვის ექნება.

„დიახ, მერაბ დვალიშვილი შემდეგ ბრძოლას ტიტულისთვის ჩაატარებს. ის შონ ომალისა და ჩიტო ვერას შორის გამარჯვებულს შეხვდება და თუ მოიგებს, წონის ჩემპიონისთვის განკუთვნილ ქამარსაც დაისაკუთრებს“, – განაცხადა უაითმა.

ამ ორ დიად ბრძოლას შორის ერთი, არც თუ მნიშვნელოვანი შეხვედრა ბევრს გამორჩა. UFC-ში არა, მაგრამ MMA-ში, თავისი პირველი შეხვედრა ჩაატარა ელენე ლოლაძემ. მისი მეტოქე თურქი მოჩხუბარი იყო და ქართველმა გოგონამ „მისალმებაც არ დააცადა“, 27 წამში, თურქეთის წარმომადგენელი ნოკაუტში გაუშვა და პროფესიული კარიერა ბრწყინვალე გამარჯვებით გახსნა.

მამარდაშვილმა შარშანდელი რეკორდი მოხსნა

ესპანეთის პრიმერადივიზიონის 25-ე ტურში, გიორგი მამარდაშვილის „ვალენსიამ“, საკუთარ მოედანზე „სევილიას“ უმასპინძლა და დაძაბული შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა. ქართველი კიპერისთვის, ეს ამ სეზონში მერვე მშრალი მატჩი იყო, რაც გასული სეზონის შედეგის გაუმჯობესებას ნიშნავს – გასულ სეზონში მამარდამ კარის მშრალად შენახვა შვიდ შეხვედრაში მოახერხა.

25 ტურის შემდეგ, ვალენსია მეცხრე ადგილზეა და ევროთასების ზონას ორი ქულით ჩამორჩება. არადა, გასული სეზონის ბოლოსა და მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, ყველა ამბობდა, რომ ვალენსიელები უძლიერესთა შორის დასარჩენად იბრძოლებდნენ, თუმცა ასე არ მოხდა და ეს დიდწილად ქართველი მეკარის ბრწყინვალე თამაშის დამსახურებაა.

„ბარსელონას“ კვარაცხელია 74 მილიონად დაუფასეს

21 თებერვალს, ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში, „ნაპოლი“ საკუთარ მოედანზე კატალონიურ „ბარსელონას“ იღებს, 12 მარტს კი, საპასუხო მატჩი „ნოუ კამპზე“ ჩატარდება. ამ შეხვედრებში, ესპანური გრანდის წარმომადგენლები ხვიჩა კვარაცხელიას დააკვირდებიან. როგორც კატალონიური მედია იუწყება, ქართველი გარემარბი, ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე, „ბარსას“ მთავარი სამიზნე იქნება. იტალიური მედია კი, ამტკიცებს, რომ კვარას სანაცვლოდ, ნეაპოლელებმა 74 მილიონი ევრო მოითხოვეს, რაც ერთი შეხედვით, ცოტაა, რადგან თუნდაც გასულ ზაფხულს, აურელიო დე ლაურენტისმა ის 100 მილიონადაც არ გაყიდა, მაგრამ...

„კონტრაქტში იქნება პირობა, რომლის მიხედვითაც, გარკვეული რაოდენობის მატჩების, გოლებისა და ტიტულების მოპოვების შემთხვევაში, „ნაპოლის“ დამატებითი ბონუსები ერგება და ეს თანხა 100 მილიონს გადააჭარბებს“, – ასეთია აპენინური მედიის ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, თავად კვარაცხელია მადრიდის „რეალის“ გულშემატკივარია, მაგრამ „სამეფო გუნდში“ მის პოზიციაზე ვინიციუს ჟუნიორი თამაშობს და თუ დედაქალაქელები მას არ გაყიდიან, გამორიცხულია, კვარაცხელია გადაიბირონ. თანაც, „ნაპოლი“ აშკარად აღარ არის და უახლოეს მომავალში ვერც იქნება ის გუნდი, რომელსაც იტალიის ჩემპიონატსა თუ ჩემპიონთა ლიგაზე, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა შეეძლება და ამიტომ, ზაფხულში კვარაცხელიასთვის კლუბის გამოცვლა საუკეთესო ვარიანტი იქნება.

გასულ უქმეებზე, იტალიის ჩემპიონატში კვარაცხელიამ „ჯენოას“ წინააღმდეგ სრული 90 წუთი ითამაშა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ეს იმის მიუხედავად, რომ „ნაპოლიმ“ გამარჯვება ვერ მოახერხა და უკვე ყველა ღიად საუბრობს იმაზე, რომ გუნდს მხოლოდ კვარაცხელია მიათრევს და ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

ფეიქრიშვილმა „რასინგს“ დავა მოუგო

2013-14 წლების სეზონის სტარტზე, ფრანგულმა სარაგბო კლუბმა „რასინგ-92“-მა, ქართველი ანტონ ფეიქრიშვილი „კასტრიდან“ გადაიბირა და მასთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ჩვენებურმა მალევე მძიმე ტრავმა მიიღო, ხანგრძლივი პერიოდი გაუცდა, ის „ბრივში“ გაანათხოვრეს და იქ გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, „რასინგს“ შუეთვალა, რომ კლუბში დასაბრუნებლად და მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად მზად იყო, თუმცა... კლუბმა მასთან თანამშრომლობა არ ისურვა და კონტრაქტი ცალმხრივად გაუწყვიტა. ამის შემდეგ დაიწყო სასამართლო დავა, რომელიც აგერ, ლამის, ათი წლის განმავლობაში გაგრძელდა და საბოლოოდ, ქართველი მორაგბის გამარჯვებით დასრულდა.

„პარიზის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სარაგბო კლუბმა „რასინგ-92“-მა, ანტონ ფეიქრიშვილს უნდა გადაუხადოს 736 968 ევრო. ეს არის იმ სამწლიანი კონტრაქტისა და პრემიების საფასური, რომელიც ქართველ მორაგბეს კლუბში კონტრაქტის მიხედვით უნდა მიეღო“, – განაცხადა ფეიქრიშვილის ადვოკატმა და როგორც ამბობენ, საფრანგეთში ეს პირველი შემთხვევაა, როცა კლუბს ასეთი თანხის გადახდა დააკისრეს.

მაჭარაშვილმა ევროპის ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგო

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ევროპისჩემპიონატი მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული ნაკრები მედლებისთვის არის წასული და პირველივე დღეს, ყულაბაში ორი ბრინჯაო, ერთი ვერცხლი და ერთი ოქრო ჩაჩხრიალდა. აქცენტს ოქროს მედალზე რამდენიმე ფაქტორის გამო გავაკეთებთ. პირველი ის, რომ ზედიზედ მეორედ გახდაევროპის ჩემპიონი გივი მაჭარაშვილი და რაც ყველაზე საინტერესოა, ზედიზედ მეორედ, მან ფინალში აზერბაიჯანის წარმომადგენელს, მაგომედხან მაგომედოვს მოუგო.

სხვათა შორის, ტურნირამდე მაგომედოვი ნატრობდა, ნეტავ ფინალში მაჭარაშვილი შემხვდეს, შარშან შემთხვევით წავაგე (შარშანდელი ფინალი ქართველის სასარგებლოდ – 4:3) დასრულდა) და ახლა შურს ვიძიებო. ბედმა ისინი კვლავ ფინალში შეჰყარა ერთმანეთს და როგორც ჩანს, მაგომედოვს შარშანდელისგან ვერაფერი უსწავლია – მან ამჯერად 7:1 წააგო და მაჭარაშვილს პირწმინდად დაეჩაგვრინა.

საქართველოს ნაკრებში მაკფადენი ტომასონმა ჩაანაცვლა

მოგეხსენებათ, ევროპის პრაქტიკულად ყველა საკალათბურთო ნაკრებს, გამთამაშებლად ფერადკანიანი კალათბურთელი ჰყავს და გამონაკლისი არც საქართველოს გუნდია. 2018 წლიდან, ჩვენი ნაკრების გამთამაშებელი თად მაკფადენი გახლდათ, ახლა კი, მის ადგილს ჯო ტომასონი დაიკავებს. მას საქართველოს მოქალაქეობა უკვე მისცეს და უახლოეს შეხვედრებში, ნაკრების მაისურს ოფიციალურად მოიზომებს.

ტომასონი ამჟამად ებრაულ „თელ ავივში“ ირიცხება, საიდანაც ესპანური „გრანადადან“ გადავიდა. კარიერის განმავლობაში, ტომასონს სულ ცხრა კლუბში აქვს ნათამაშები და რომ გითხრათ, რომელიმე კლუბი გრანდი იყო და ევროპაში ანგრევდა-თქო, მოგატყუებთ, მაგრამ, როგორც გვეუბნებიან, ის ძალიან კარგი მეპასე და სამქულიანების დიდოსტატია, მეტი კი გამთამაშებელს არც არაფერი მოეთხოვება.

ენძელა

გოდერძი ჩოხელი

გაზაფხულის მზის სხივმა თოვლიან „მზორეს“ საკინძე ჩაუხსნა და შიგ ჩაუძვრა, გაღვიძებულმა მიწამ სიცოცხლე იგრძნო, ამოისუნთქა და ნეკნებს შორის, აქა-იქ კისკისით ჩაატარა ყინვისაგან მიძინებული თოვლის ნაკადულები, მზის სხივებზე რომ გამოიღვიძეს და ჩაიკისკისეს. მიწამ თანდათან გადაიღეღა ჩამოხეული თოვლის საკინძე, გალხვა, ორთქლი ამოუშვა და მზის სხივებზე ახალი მოლი მოიქარგა. მერე ისე მძლავრად დაუწყო გულმა ბაგა-ბუგი, რომ მის მკერდში მიძინებულ ენძელას ხმაურზე გამოეღვიძა.

ნამძინარევს ჯერ გაუკვირდა, რა სიბნელეაო, თვალები მოიფშვნიტა და, სინათლე რომ ვერ იგრძნო, სწრაფად ამოჰყო ახალმოქარგულ მოლზე თავი, მზის დანახვაზე დაიმორცხვა, მერე ხარბად რომ ჩაკოცნეს მზის სხივებმა, თანდათან გული მოეცა, ჯერ გაიღიმა, მერე კი ისე ყვითლად გადიღადღადა, რომ ვეღარ დაფარა მზისადმი სიყვარული, თანდათან ტანი აიყარა, მხრები შეარხია და მეზობელ ბალახებს გადაუჩურჩულა:

– მომილოცია, მეზობლებო, გაზაფხულის მოსვლა!

– ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ, – გადმოუჩურჩულეს ბალახებმა და გაინაბნენ, ისე გაეკრნენ მიწას, რომ ენძელამ გაკვირვებულმა მიმოიხედა.

– რა ყელი მოგიღერებია, თავს ნუ იწონებ, თორემ დიდხანს არ შეგარჩენენ მაგ სილამაზეს, ხომ ხედავ, ჩვენი მტრები ჩვენსკენ მოდიან. ეგენი თუ დაეჩვივნენ, მორჩა, მერე ვერ დავესწრებით შემოდგომაზე ფერისცვალებას – ეჩურჩულებოდა მწვანე ბალახი ენძელას.

ენძელას გაუკვირდა, რა მტერი, რომელი მტერიო და იმ მხარეს მიაყურა, ბალახმა რომ ანიშნა, ცხვრები მიდიოდნენ მათკენ და აჭრელებულ თოვლში ბალახს წიწკნიდნენ.

ერთი კი გაიკვირვა ენძელამ, რა უნდათ ამ ცხვრებს, რას ერჩიან ამ საწყალ ბალახსო, მაგრამ გაკვირვება აღარ დასცალდა, პატარა ბატკანმა ისე დააბიჯა ყვითელ ფოთლებზე უღონო ჩლიქი, რომ საბრალო ენძელას ასე ეგონა, ერთიანად დამემტვრაო ყველა სახსარი.

კივილი უნდოდა, მაგრამ ისე შეეშინდა, რომ საცოდავად გაისუსა.

ხედავდა, როგორ გლეჯდნენ ცხვრები კბილებით მის მეზობლებს, ესმოდა მათი კვნესა: დაინახა, როგორი გამეტებით მოწყვიტეს თეთრმა კბილებმა ის მწვანე ბალახი, წელან ენძელას რომ უთხრა – ყელს ნუ იღერებ, თორემ დიდხანს არ შეგარჩენენ მაგ სილამაზესო, მერე მასაც გადაავლო პატარა კრავმა თეთრი კბილები და დაენანა საბრალო ენძელას, მზე რომ ვეღარ დაინახა.

იფიქრა, სამუდამოდ ვცილდებიო მის სითბოს, მაგრამ ბატკანი მხოლოდ გაეთამაშა, არც კი მოსვლია მისი შეჭმა აზრად და ენძელამ ისევ გაუცინა მზეს, ცხვრებმა კი გადაიარეს და დაჭრილ ბალახებს ჩლიქებით გამხვრიშებული თოვლი მიაფშვნეს.

გადარჩენილმა ბალახებმა თავები წამოსწიეს და მოწყვეტილ და-ძმებს საბრალოდ გადახედეს. ენძელა იდგა და „ფერისცვალებაზე“ ფიქრობდა.

უკვირდა ცხვრების საქციელი, მერე თავის დედას, მიწას ჩაეკითხა, – რატომ მოგვეპყრნენო ასე შეუბრალებლად!

– ბუნებამ ეგენი სხვის საჭმელად დაბადა, მე კი იმავე ბუნებისაგან ნაბრძანები მაქვს, თქვენ მაგათ საჭმელად დაგბადოთ და დაგზარდოთ, – ეუბნებოდა მშობელი

მიწა ენძელას და უკვირდა ყვავილს – ნეტავ, რა ვალი მართებსო დედაჩვენს ბუნების. აბა, სად ჰქონდა ენძელას იმდენი აზროვნების უნარი, რომ გაეგო, როგორ კვებავდა თავისივე მომავალს, თავისი სხეულით.

ყველაფერს დაწვრილებით ხომ არ მოუყვებოდა მშობელი მიწა, ესეო და ესეო – მე შენ გზრდი, შენ ცხვრები გჭამენ, ცხვრებს ადამიანები ჭამენ, ადამიანებს მე ვჭამ და ყოველ გაზაფხულზე იმითი ვზრდი შენს შთამომავალ ენძელასო, ასე რომ ეთქვა, მაინც ვერაფერს გაიგებდა ენძელა.

უთხრეს, ბუნებამ ასე დააწესაო და ენძელა თავისით მიხვდა, ალბათ, მზის სიყვარულიც ბუნებამ დამიწესაო.

ამ აღმოჩენით გახარებულმა, ბალახებს ბრძენი კაცის სიდარბაისლით გადაულაპარაკა – მორჩით კვნესას, ბუნებას არაფერი აწყენინოთო. მთებიდან წამოქროლილმა ნიავმა მზეს ღრუბლის ნაგლეჯები ჩამოაფარა და ენძელას ეგონა, ბუნებას მე და ბალახებმა ვაწყენინეთო.

უცებ ისევ გაინაბნენ მისი მეზობლები და ენძელას ყური აღარ უთხოვებია მათი რატრატისთვის – დაწექი, დაწექიო.

ხედავდა, როგორ იწმენდდა ვიღაც კაცი ბალახებზე ტალახიან ფეხებს, ხედავდა და იმის შიშით, ბუნებას კიდევ არაფერი ვაწყენინოო, მაინც ყელს იღერებდა.

კაცმა ტალახიანი ფეხები დაიწმინდა და წავიდა.

დაჰყურებდა ენძელა თავის ტალახიან კაბას და თავისთვის, გულში ბრაზობდა ბუნებაზე – ყველაფერი ჰო, მაგრამ ეს რა ცუდი რაღაც დაუწესებია, მოვა კაცი, ტალახიან ფეხებს ჩვენზე დაიწმენდს და ვითომც არაფერი, ისე წავაო. მერე ისე შერცხვა თავისი ტალახიანი კაბის, რომ სირცხვილით მზეს თვალი ვეღარ გაუსწორა, თავი ჩაღუნა და დედამიწას ცნობისმოყვარე თვალებით რაღაცა უთქმელს ჩაეკითხა.

მერე ბუნებას შეეცოდა საწყალი ენძელა, ქარი ააქროლა, მზეს ღრუბლები ჩამოაფარა, მოიღუშა და იმდენი იტირა, სანამ ტალახიანი კაბა არ გაურეცხა. პირდაბანილი ენძელა იდგა და ფიქრობდა:

– რა უცნაური წესები ჰქონია ბუნებასო! მზე ჩასვლას აპირებდა. დედამიწა გახსნილ საკინძეს იბნევდა.

ენძელა კი იდგა და ელოდა ბუნების უცნაურობებს იმ მოლოდინით, რა მოლოდინიც დაჰყვებათ ხოლმე ბუნებისგანვე შექმნილთ. ელოდა ენძელა და თან თავისთვის ფიქრობდა:

– რა უცნაური იქნებოდა, რომ ყვავილებად მოვსულიყავით ყველა: ცხვრებიც, ადამიანებიც, მაშინ ხომ აღარავინ მოგვგვლეჯდა, ტალახიან ფეხებს არც არავინ გაიწმენდდა ჩვენზე. ვიქნებოდით გაშლილ მდელოზე მოსულნი, ნიავის ქროლაზე ვიბიბინებდით და ვიჩურჩულებდით. მერე ჩამოწოლილი ღამის შეეშინდა და თვალები დახუჭა.

ჯანმრთელობას საყურე გაგიკონტროლებთ

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეიმუშავეს Thermal Earring – უსადენო „ჭკვიანი“ საყურის წყვილი, რომელსაც მომხმარებლის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პარამეტრების მონიტორინგი შეუძლია. ზომითა და წონით, ეს მოწყობილობა ქაღალდის მცირე სამაგრს – სკრეპს ჰგავს და დამუხტვის გარეშე, 28 დღე მუშაობს. ერთი გადამცემი, მაგნიტური დამჭერით, მომხმარებლის ყურის ბიბილოზე მაგრდება, მეორე კი ქვემოთაა ჩამოკონწიალებული. ჩამონტაჟებული ანტენისა და Bluetooth-ის მოდულის წყალობით, საყურე მონაცემებს აგზავნის „სმარტფონზე“ დღის განმავლობაში, გარკვეულ პერიოდებში. მკვლევარებმა ახალი მოწყობილობა მოხალისეებზე გამოსცადეს და აღმოაჩინეს, რომ ის „ჭკვიან“ საათსაც კი სჯობს სხეულის ტემპერატურის გაზომვაში, საყურე აფიქსირებს სტრესისა და ოვულაციის მაჩვენებლებსაც კი. ჯერჯერობით, მოწყობილობა კომერციული გაყიდვებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ავტორებს სურთ, საყურე კიდევ უფრო დახვეწონ და მასში გულის რიტმისა და აქტივობის მონიტორინგიც ჩართონ.

ახალი სოციალური ქსელი მოხმარებლებს იწვევს

ახალი სოციალური ქსელი Bluesky, რომელიც Twitter-ის დამფუძნებელმა, ჯეკ დორსიმ შეიმუშავა, უკვე ღიაა ნებისმიერი მსურველის რეგისტრაციისთვის, პერსონალური მიწვევის გარეშე. ბევრი პარამეტრით ის Twitter-ს ჰგავს, რომელიც ილონ მასკმა 44 მილიარდ დოლარად შეიძინა და ის ახლა X-ის სახელითაა ცნობილი. „ბლუსქაი“ მომხმრებლებს ჯერჯერობით არ სთავაზობს პირდაპირ შეტყობინებებს, თუმცა მას ინდივიდუალური პარამეტრებისთვის მეტი შესაძლებლობები აქვს. როგორც ახალი ქსელის შემქმნელები ამტკიცებენ, Bluesky ისწრაფვის, გახდეს „უკანასკნელი „ექაუნთი“ სოციალურ ქსელში, რომლის შექმნაც ოდესმე დაგჭირდებათ“. თუმცა, პრაქტიკაში, ეს ალბათ, ასე მარტივი არ იქნება.

ნერწყვით გულის დაავადებებს დაადგენენ

კანადელმა სწავლულებმა, მაუნთ-როიალის უნივერსიტეტიდან, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ნერწყვით გამოვლენის მეთოდი შექმნეს. მათმა კვლევამ აჩვენა, რომ პირის ღრუში ლეიკოციტების რაოდენობა შეიძლება უკავშირდებოდეს სისხლის მიმოქცევის დაქვეითებას, რაც არტერიების ცუდი მდგომარეობის ადრეული ინდიკატორია. ადრე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა კავშირი პაროდინტიტსა და გულის დაავადებებს შორის. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ანთებითი პროცესი სისხლის მიმოქცევაში შეიძლება გავრცელდეს ღრძილების მეშვეობით და დააზიანოს სისხლძარღვთა სისტემა. ამ მონაცემების საფუძველზე, სწავლულებმა დიაგნოსტიკური სისტემის შემუშავება გადაწყვიტეს. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ შესაძლოა, ლეიკოციტების მაღალი დონე არტერიების არასაკმარის გაფართოებაზე და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მომატებულ რისკზე მიუთითებდეს.

მობილურების გამოყენებას აკრძალავენ

საფრანგეთში, პარაეა კომუნა სენა-პორტის მცხოვრებლებმა ხმა მისცეს სმარტფონების გამოყენების აკრძალვას საზოგადოებრივ ადგილებში. რეკომენდებულია მხოლოდ დარეკვა და ზარზე პასუხი, მაგრამ არა სოცქსელების „სქროლვა“. აკრძალვა იმოქმედებს ქუჩაში სიარულისას, პარკში სკამზე დასვენებისას, მაღაზიებში, კაფე-რესტორნებში, ასევე იმ მშობლებისთვის, რომლებიც შვილებს სკოლის კარებთან ელოდებიან. გარდა ამისა, მშობლებს შეუძლიათ, ხელი მოწერონ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, 15 წლამდე, ბავშვს არ ექნება საკუთარი ტელეფონი, მერია კი არასრულწლოვნებს დაურიგებს მობილურებს, რომელთაც მხოლოდ ზარის ფუნქცია ექნება. ამ აკრძალვებს მხარი 277-მა ადამიანმა დაუჭირა – ეს ამომრჩველთა, დაახლოებით, 20%-ია. სულ კომუნაში 2 000-მდე ადამიანი ცხოვრობს. ადმინისტრაცია უკვე ამზადებს განკარგულებას „სმარტფონების“ გამოყენების თაობაზე. ამ ყველაფრის მიუხედავად, აკრძალვას მაინც რეკომენდაციის ხასიათი ექნება, რადგან პოლიცია „კანონდამრღვევებს“ ვერ გააჩერებს და ვერც დააჯარიმებს – ეს შეუძლებელია ეროვნული კანონმდებლობით.

ქორწილში მისვლისთვის ფულს ითხოვდა

შემთხვევა კანადაში მოხდა. პატარძალმა უარი თქვა ცერემონიის ჩატარებაზე და საქმროსაც დაშორდა, რადგან დაპატიჟებულმა სტუმრებმა არ ისურვეს მათთვის 1.5 ათასი კანადური დოლარის ჩუქება. გოგონამ, სახელად სიუზანმა განაცხადა, რომ დაუჯერა ადგილობრივ ექსტრასენსს და შეყვარებულთან ერთად გადაწყვიტა, მდიდრული ქორწილი გადაეხადა. წყვილის გეგმებში, დაახლოებით, 60 ათასი კანადური დოლარის დახარჯვა იყო, თუმცა ხარჯების ასანაზღაურებლად, პატარძალმა სტუმრებისგან, საქორწინო ღონისძიებაზე დასასწრებად, 1 500 დოლარის გადახდა მოითხოვა. როგორც ადგილობრივ მედიაში დაწერეს, წყვილის ახლობლებისა და მეგობრების უმრავლესობამ უარი განაცხადა ასეთი თხოვნის (თუ მოთხოვნის) დაკმაყოფილებაზე. სტუმრების ასეთმა რეაქციამ პატარძალი გააცოფა, შედეგად, შეყვარებულებმა არა მხოლოდ ქორწილი ჩაშალეს, ერთმანეთს დაშორდნენ კიდეც.

ორ წელში, დუბაიში, ტაქსები იფრენენ

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში, მგზავრებს არა მხოლოდ ავტომობილები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადაიყვანს. მათ რიცხვს 2026 წლიდან, მფრინავი ტაქსებიც მიემატება. ფრენები Joby-ის ტიპის მცირე თვითმფრინავებით შესრულდება, რომელიც ოთხ მგზავრს იტევს. ამ ტრანსპორტს 320 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია. ტრანსპორტი ეკოლოგიურად სუფთა – ელექტრო იქნება, ახალი რეისის წინ, დასამუხტად მათ სულ 10 წუთი დასჭირდებათ. თვითმფრინავების მწარმოებელმა კომპანია Joby Aviation-მა უკვე დადო ხელშეკრულება დუბაის ტრანსპორტის სამმართველოსთან „მფრინავი ტაქსის“ სერვისის 2026 წლიდან ამოქმედების შესახებ.

კივი ფსიქიკურ ჯანმრთელობას აუმჯობესებს



ადამიანის ორგანიზმში სეროტონინის დონის ამაღლებას შოკოლადი და ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები სულაც არ სჭირდება. საკმარისია, მიირთვათ კივი, რომ სეროტონინიც მოიმატებს და მორალური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამას ახალზელანდიელი სწავლულები გვიმტკიცებენ, ოტაგოს უნივერსიტეტიდან. ასე რომ, თუ ზამთრის მოჟამული დღეების განწყობა ჯერ კიდევ თან გდევთ, მის გასაუმჯობესებლად თამამად დაამატეთ თქვენს რაციონში კივი. ცნობილია, რომ ჩვენს განწყობაზე გავლენას ახდენს ცე-ვიტამინი – ის აქტიურად მონაწილეობს სეროტონინის სინთეზში, ამიტომ მისი ნაკლებობა იწვევს ისეთ სიმპტომებს, როგორებიცაა დაღლილობა და ცუდი განწყობა. როგორ ვიხსნათ ადამიანი აპათიისგან და დავმუხტოთ ემოციებით, სწორედ ამის გარკვევას შეეცადნენ ზელანდიელი მკვლევარები. ექსპერიმენტის მონაწილეთა სამ ჯგუფს, ორი თვის განმავლობაში, ისინი ყოველღიურად პლაცებოს, ან 250 გრამ ცე-ვიტამინს, ან ორ ცალ კივს აძლევდნენ, რადგან ამ ხილში უფრო მეტი ცე-ვიტამინია, ვიდრე ლიმონსა და ფორთოხალში. შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთ თავს იმ ჯგუფის წევრები გრძნობდნენ, რომლებიც ყოველდღიურად, ორ ცალ კივს მიირთმევდნენ. ამასთან, მათ გაზრდილი თვითშეფასებაც აღნიშნეს.

ხორცისა და ბრინჯის ჰიბრიდი შექმნეს

სამხრეთ კორეელმა სწავლულებმა ახალი ტიპის საკვები შექმნეს, რომელიც ბრინჯისა და ხორცის ჰიბრიდს წარმოადგენს. BBC-ის ინფორმაციით, ასეთი ექსპერიმენტი სეულის იონსეის უნივერსიტეტში ჩატარდა. მკვლევარებმა ბრინჯს ლაბორატორიაში გამოზრდილი საქონლის კუნთებისა და ცხიმის უჯრედები დაუმატეს, რის შემდეგაც ბრინჯი თევზის ჟელატინში მოათავსეს და 11 დღე დააყოვნეს. ექსპერიმენტის შედეგად, კორეელმა სწავლულებმა უფრო მყარი ბრინჯი მიიღეს, რომელიც ჩვეულებრივზე 8%-ით მეტ პროტეინსა და 7%-ით მეტ ცხიმს შეიცავს. თანაც, ასეთი ბრინჯის წარმოება ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, ვიდრე საქონლის ხორცის. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი ექსპერიმენტის შედეგები პლანეტაზე შიმშილის პრობლემის მოგვარებაში წაადგებათ.

პარტნიორად ხელოვნურ ინტელექტს ირჩევენ

არ ითხოვს კერძების მომზადებას და არ ყრის საკუთარ წინდებს აქეთ-იქით, – აცხადებენ ახალგაზრდა ჩინელი მანდილოსნები და სულ უფრო ხშირად მიმართავენ ხელოვნურ ინტელექტს კომპანიონის ძიებისას – ისინი ვირტუალურ ურთიერთობას ამჯობინებენ რეალურს. ასე რომ, ჩატ-ბოტებთან ურთიერთობის შესაძლებლობა მეტად მომხიბვლელი ალტერნატივაა ბევრი მათგანისთვის. არჩევანი კი არც ისე ცოტა აქვთ. უკვე უამრავი აპლიკაციაა შექმნილი, რომელიც სხვადასხვაგვარ სცენარს სთავაზობს მსურველს, როგორც მეგობრული, ისე რომანტიკული ურთიერთობისას. მომხმარებელს შეუძლია, „პარტნიორი“ აირჩიოს ასობით პერსონაჟიდან – ცნობილი პიროვნებებიდან დაწყებული, გამოგონილი გმირების ჩათვლით. ასეთი აპლიკაციები არა მხოლოდ გართობის წყაროა, არამედ, მომხმარებლების ემოციურ და სოციალურ მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებს.

ქმარი მტვერსასრუტმა „ჩაუშვა“

დიდ ბრიტანეთში, ქალაქ კროიდონის მცხოვრები, 32 წლის ქალბატონი იძულებული გახდა, მეუღლეს სარემონტო სახელოსნოდან დაბრუნების შემდეგ გაშორებოდა. საქმე ის არის, რომ მელისამ გადაწყვიტა, გაფუჭებული მტვერსასრუტი შეეკეთებინა და ამ მიზნით ის საგარანტიო სახელოსნოში წაიღო. მაგრამ როცა ხელოსანმა ეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა დაშალა და მფლობელს დაზიანების „მიზეზი“ უჩვენა, ქალმა აღარ იცოდა, სირცხვილისგან სად წასულიყო. თანაც, აღმოჩნდა, რომ მტვერსასრუტში ნაპოვნი საცვალი მისი არ იყო. ტექნიკის შეკეთების შემდეგ სახლში დაბრუნებულმა მელისამ სკანდალი ატეხა. მეუღლე თავიდან ბრალდებას უარყოფდა, მაგრამ მოგვიანებით, ცოლს ღალატში გამოუტყდა და იძულებული გახდა, სახლიდან წასულიყო.

მარწყვი ატმის გემოთი

იაპონელი სპეციალისტები დაუღალავად მუშაობენ იმაზე, რომ საკუთარი ნახელავით მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცონ. ამჯერად, ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი მარწყვი გამოიყვანეს, რომელსაც ატმის გემო აქვს. გარეგნულად ეს ხილი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე ჩვეულებრივი, შიგნიდან კი ის პრაქტიკულად თეთრია. როგორ მიიღწევა უცხო გემოს ეფექტი, უცნობია, აი, მისი ღირებულება კი შთამბეჭდავია – ერთი ცალი ასეთი მარწყვის ფასი 11 დოლარს შეადგენს. იაპონური ბაზრის კიდევ ერთი სიახლე კვერცხია, რომელსაც იპონური ლიმნის – იუძუს არომატი აქვს. აქ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არავითარ ქიმიას ადგილი არ აქვს. საიდუმლო ქათმების რაციონშია, რომელშიც ეს ლიმონიც შედის. 10 ცალი ასეთი კვერცხი 4 დოლარზე ცოტა მეტი ღირს.

ინტელექტუალები „ღამურები“ არიან

დიდი ხანია მიიჩნევა, რომ ენერგია, რომელსად ადამიანები ღამით, მთვარისგან იღებენ, გაცილებით უფრო მეტ ახალ კრეატიულ იდეებს ბადებს, ვიდრე დღის ენერგია, რომელსაც მზისგან ვიღებთ. თუ Psychology Today-ს სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, ადამიანებს, რომლებიც „ღამურები“ არიან, ინტელექტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აქვთ. ლონდონელი ფსიქოლოგები ამ მოსაზრებას ადასტურებენ და დღის რეჟიმის ღამეზე შეცვლის სასარგებლოდ არგუმენტები მოჰყავთ. პირველ რიგში, გვიან დაწოლის მოყვარულებს მეტი დრო რჩებათ იმისთვის, რომ იოცნებონ და საკუთარ ფანტაზიებს გასაქანი მისცენ. დღის საზრუნავი კი არ იძლევა საშუალებას, კონცენტრირება საკუთარ ოცნებებსა და სურვილებზე მოახდინოთ; ვისაც არ სძინავს ღამით, გარკვეულწილად, მეამბოხეები არიან. ასეთ ადამიანებს შორის არიან მხატვრები, გამომგონებლები და მეცნიერები. კიდევ, „ღამურები“ ყოვლთვის მზად არიან ყოველნაირი სიახლისთვის, ისინი ხშირად არიან იმ ფსიქოლოგიური და ემოციური განცდების ქვეშ, რასაც ღამის ცხოვრება ჩუქნით. ისინი, რომლებიც გვიან წვებიან დასაძინებლად, ყოველთვის უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ, ვიდრე „ტოროლები“. სწორედ გვიან საათებში მოსდის ადამიანს თავში გადასარევი იდეები. მხოლოდ გვიანობამდე ჯდომით შეძლებთ დიდი ხნის დაგეგმილი ყველა საქმის შესრულებას.

ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲔᲑᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ

სამხრეთ კორეის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, გააუქმოს სისხლის სამართლის სასჯელი მეუღლის ღალატისთვის, რომელიც 1953 წელსაა მიღებული. მოსამართლეებმა საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მოქალაქეების პირად ცხოვერბაში. მარტო 2008 წლიდან დღემდე, ქვეყანაში ღალატისთვის 5.5 ათასი ადამიანია გასამართლებული – სასჯელი ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. კანონი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მიიღეს, „ტრადიცული ოჯახური ღირებულებების“ დაცვისკენ მოუწოდებდა, თანაც კანონს ქალების უფლებები უნდა დაეცვა, რომელთაც მამაკაცებთან შედარებით, უფრო სუსტი სოციალური პოზიციები ეჭირათ.

ᲡᲐᲮᲚᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲔᲑᲘ ᲩᲐᲐᲧᲝᲚᲔᲡ

იტალიელმა დიზაინერებმა ტურინიდან, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, დაახლოებით, 200 ცოცხალი ხე გამოიყენეს. ამ ცოცხალ დეკორაციას შენობისთვის განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია – ზაფხულში სახლს მცხუნვარე მზისგან დაიცავს, ზამთარში კი მათ გაატარებს. თითქოს ერთ დიდ ხეში ცხოვრობ – ასეთი შთაბეჭდილება დარჩება ადამიანს ამ განსაკუთრებული, ხუთსართულიანი შენობის ნახვის შემდეგ. არქიტექტორ ლუჩანო პიას ქმნილება, ავტორისვე თქმით, ბავშვური ოცნების სახლს ჰგავს. მასში არსებულ 63 ბინას საკუთარი ტერასები აქვთ, რომლებიც გამწვანებულია – უზარმაზარ ქოთნებში ხეებია დარგული. სულ, დაახლოებით, 150 „ჰაერგამწმენდია“ ტერასებზე დარგული, კიდევ 50 ხე კი სახლის ბაღში ხარობს. ასეთი გამწვანება იდეალურ მიკროკლიმატს ქმნის. ხეები საათში, დაახლოებით, 200 ათას ლიტრ ნახშირორჟანგს შთანთქავენ. ადვილი მისახვედრია, რომ ტურინში მდებარე ამ სახლში ცხოვრება საკმაოდ ძვირი სიამოვნება იქნება.

ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ

წელიწადის დრო, როდესაც დაიბადა ადამიანი, გავლენას ახდენს მის განწყობასა და აფექტის მდგომარეობის განვითარების რისკზე, – ასეთ დასკვნებს აკეთებენ უნგრელი სწავლულები. მათი განცხადებით, ბიოქომიური კვლევები ამას ადასტურებს. საქმე ის არის, რომ მონოამინური ნეიროგადამცემების, დოფამინისა და სეროტონინის დონე მკვეთრად მერყეობს წლის განმავლობაში. ადამიანებს, რომლებიც ზაფხულში არიან დაბადებულნი, უფრო ხშირად ციკლოტიმიური ტემპერამენტი (ხასიათის მკვეთრი ცვლილებები) აქვთ, ვიდრე ზამთარში დაბადებულებს. ასევე, გაზაფხულზე ან ზაფხულში გაჩენა ადამინებს ყველაზე ხშირად ზედმეტ პოზიტიურობას უქადის. „შემოდგომის ადამიანებს“ უფრო იშვიათად აწუხებთ დეპრესია, ვიდრე „ზამთრისებს“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსაკუთრებულობა არ მიეკუთვნება გადახრებს, მაგრამ შეუძლიათ, გარკვეულ პირობებში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობას შეუწყონ ხელი.

ᲕᲐᲨᲚᲘ ᲓᲐ �პᲝᲛᲘᲓᲝᲠᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ

შვეიცარიელმა მებაღე მარკუს კობერტმა სელექციაში დიდ წარმატებას მიაღწია – მან ვაშლისა და პომიდვრის შეჯვარება მოახერხა. შედეგად, გამოიყვანა ვაშლის ახალი ჯიში, რომელსაც წითელი და წვნიანი რბილობი აქვს. ფერითა და ფაქტურით, ახალი ხილ-ბაღჩეული უფრო პომიდორს ჰგავს, მაგრამ ის ჩვეულებრივ, ვაშლის ხეზე იზრდება. როგორც მისი დამგემოვნებლები აღნიშნავენ, ნაყოფს სასიამოვნო გემო აქვს, ტყის კენკროვნების მსუბუქი არომატით. გარდა ამისა, თერმული დამუშავების დროსაც კი, ის არ კარგავს წითელ ფერს, დაჭრილი არ იცვლის ფერს, არ შავდება და მას სალათებში წარმატებით გამოიყენებენ. ის ასევე გამოირჩევა ანტიდამჟანგავი ნივთიერებების მაღალი შემცველობით. აღსანიშნავია, რომ სელექციონერი ამ ჯიშის გამოყვანაზე ბოლო 20 წელია მუშაობდა. ახალი ჯიშის პირველი ნერგები, რომელსაც Redlove უწოდეს, უკვე იყიდება ნისლიან ალბიონზე და მასზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა.

სემინარები „ცრემლების სომელიესგან“

უკვე დიდი ხანია ცნობილია სიცილის თერაპიის შესახებ, მაგრამ ამ „მედლის მეორე მხარეც“ თუ არსებობდა, დღემდე არავისთვის იყო ცნობილი. ამომავალი მზის ქვეყანაში, ადამიანები ჯგუფებად იკრიბებიან, რათა ხმამაღლა იყვირონ და იტირონ. ამგვარ სემინარებს ტაკაში სეგოი ატარებს, რომელიც საკუთარ თავს „ცრემლების სომელიეს“ უწოდებს. ის წიგნებს, ფილმებსა და ვიდეომასალებს იყენებს, რათა ადამიანებში ემოციები გამოიწვიოს. იაპონიაში ტირილი პოპულარული არ არის. აქაურებს ურჩევნიათ, უცხო ადამიანების წინაშე ემოციები არ გამოამჟღავნონ, რადგან ეს მათ სისუსტედ ითვლება. ამიტომაც, თვეში ორჯერ, „რიუკაცუ“-სემინარები ეწყობა, სადაც ადამიანები სიხარულისაგან ყვირიან, ან ტირიან და ნეგატიურ ემოციებსაც ხმამაღლა გამოთქვამენ. ეს მათ ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში, დაძაბული ურთიერთობებისა და სხვა დარღვევების აღმოფხვრაში ეხმარება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სიცილის ეფექტი მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება, ყვირილისა და ტირილის კი – მთელი ერთი კვირა. აღმოჩნდა, რომ ტირილი გაცილებით სასარგებლოა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის. როცა ადამიანი ტირის, ემოციებისგან ცრემლში ისეთივე ჰორმონები ჩნდება, რასაც სხეული გამოჰყოფს ფიზიკური დატვირთვის დროს. ამიტომაც, სემინარების ორგანიზატორის მთავარი ამოცანაა, არავინ წავიდეს მშრალი თვალებით. სემინარის მონაწილეები ამბობენ, რომ ძალიან კმაყოფილები არიან მეცადინეობების შედეგებით. იტირებენ და სახლებში გადასარევ ხასიათზე ბრუნდებიან. უფრო მეტიც, გრძნობენ, რომ დაძაბულობაც მოეხსნათ.

ფეხსაცმელი და ქალის ხასიათი

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლეთა ხასიათის ამოცნობა სულ ადვილად შეიძლება მათივე ფეხსაცმლის მიხედვით. ზოგადად, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს უპიტარესობას ანიჭებენ გოგონები, რომელთაც დაბალი თვითშეფასება აქვთ და მაღალი ქუსლის დახმარებით სურთ, სხვაზე მეტად წარმოჩინდნენ, რათა თავდაჯერებულად იგრძნონ თავი. მაღალი ქუსლი უყვართ მათაც, რომლებსაც ყურადღების ცენტრში ყოფნა უფრო მოსწონთ. ისინი გამომწვევები, სექსუალურები და მომხიბვლელები არიან. წვრილქუსლიან ფეხსაცმელს ის მომხიბვლელი ქალბატონები ირჩევენ, რომელთაც ახალი ნაცნობობა და ფლირტი უყვართ. ისინი ძალიან დახვეწილები არიან და ქალური ნატურით გამოირჩევიან.

ფეხსაცმელს მაღალ პლატფორმაზე უპირატესობას ის ქალები ანიჭებენ, რომლებსაც მტკიცე და პრინციპული ხასიათი აქვთ. მათ არ უყვართ, როცა ეკემათებიან, რადგან დარწმუნებულნი არიან საკუთარ სიმართლეში. ასეთ მანდილოსნებს მეტად არაპროგნოზირებადი ხასიათი აქვთ, ამიტომ ფსიქოლოგები მამაკაცებს ურჩევენ, ასეთ ქალთან სიფრთხილე გამოიჩინონ. დაბალ პლატფორმას რომანტიკული ბუნების, უკონფლიქტო გოგონები ატარებენ. ისინი საკმაოდ მიზანდასახულნი არიან და სწავლასა თუ სამსახურში ყოველთვის წარმატებას აღწევენ.

დაბალქუსლიან ფეხსაცმელს მშვენიერი სქესის ის წარმომადგენლები იცვამენ, რომლებსაც რბილი ხასიათი აქვთ, თავშეკავებულები არიან და მუდამ ღრუბლებში დაფრინავენ. ზოგჯერ მათ დეპრესია ეუფლებათ და უმიზეზოდ ტირიან ხოლმე. ასეთ ქალებთან ურთიერთობისას, ადვილია კომპრომისის მიღწევა. სწორძირიანი ფეხსაცმელი მათ უყვართ, რომლებიც ბევრს მუშაობენ და მუდმივად გადაღლილები არიან. ამავდროულად, ისინი კარგი დიასახლისებიც არიან და საკუთარ მოვალეობას ბრწყინვალედ ართმევენ თავს. სპორტული ფეხსაცმლის მოყვარულები, ზოგადად, ცვალებადი ხასიათით არ გამოირჩევიან, ისინი კონსერვატიულები არიან და უპირატესობას კომფორტს ანიჭებენ. ასეთი მანდილოსნები უცნობ ადამიანებთან ადვილად პოულობენ საერთო ენას, ყოველთვის გულახდილები და გულწრფელები არიან.

კვერცხი მეხსიერებასაც აუმჯობესებს



სწავლულების ბოლოდროინდელი გამოკვლევები ცხადჰყოფს, რომ კვერცხი მხოლოდ ადვილად მოსამზადებელი, მაგრამ სასარგებლო და ნოყიერი საუზმე არ არის. კვერცხს უამრავი დადებითი თვისება აქვს – შეიცავს სხვადასხვა ჯგუფის ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, არეგულირებს ფოსფორის დონეს ორგანიზმში. ყველამ იცის, რომ ნაჭუჭი მდიდარია კალცით, ამაგრებს ძვლებსა და კბილებს. კვერცხი სასარგებლოა გულისა და მხედველობისთვის, იცავს ონკოლოგირი დაავადებებისგან. ცოტა ხნის წინ კი მისი ახალი თვისება აღმოაჩინეს – ტაფტსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ამ პროდუქტის რეგულარული მოხმარება მეხსიერებას აუმჯობესებს, აფერხებს ტვინის დაბერების პროცესს და იცავს ასაკობრივი ჭკუასუსტობისგან. სწავლულთა ექსპერიმენტი ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მოხალისეების ნახევარი ყოველდღე მიირთმევდა ქათმის ორ კვერცხს, დანარჩენების მენიუ კი კვერცხის გარეშე იყო. კვლევების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, ექსპერიმენტის მონაწილეებმა ტესტი ჩააბარეს. აღმოჩნდა, რომ კვერცხის მჭამელები ყველა მაჩვენებლით უსწრებდნენ დანარჩენებს. კვერცხის სასიკეთო გავლენას თავის ტვინზე, მეცნიერები მასში შემავალი ანტიოქსიდანტებით – ლუტეინითა და ზეაკსანტინით ხსნიან. ეს ნივთიერებები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ადამიანის ინტლექტსა და მეხსიერებაზე.

კბილების უსუფთაობა იმპოტენციას იწვევს?

კბილებსა და პოტენციას შორის კავშირი თურქმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, ინიონიოს ინსტიტუტიდან. მათი დასკვნებით, მამაკაცებს, რომლებიც რეგულარულად არ იხეხავენ კბილებს, ხშირად აქვთ ერექციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის მიზეზი ბაქტერიაა, რომელიც ქრონიკული პაროდონტოზისას, ღრძილების ანთებას იწვევს. ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს ბაქტერია იწვევს გულის იშემიურ დაავადებასაც. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს პოტენციაზე. აქედან გამომდინარე, ვინც კბილებს რეგულარულად არ ისუფთავებს, არა მხოლოდ ჯანმრთელი კბილების, არამედ, ხარისხიანი სექსის დაკარვის რისკის წინაშეც დგას. უნდა აღინიშნოს, რომ ერექციის პრობლემებსა და ქრონიკულ პაროდონტოზს ერთნაირი ფაქტორები იწვევს, როგორიცაა ასაკი, მოწევა, დიაბეტი და გულის პრობლემები, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.